პოლიციელის amormaeuraeu ႲჂუჇᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ პასუხისმგებლოგა 97977846397



სამშაბათი, 27 აპრილი, 2021

**№**72 (8601)

ფასი: 60 თეთრი

## 



გიგლა ბარამიძე: "კობახიძე არ წავა... პოლიტიკაში სხვა ცვლილებებიც იქნება"



## "ᲝᲪᲜᲔᲑᲐ" ᲐᲡᲔ ᲛᲐᲠᲒᲘᲕᲐᲦ



თორნიკე შარაშენიძე: "დღეს ხალხს საქართველოში ეშინია მკვეთრი ცვლილებების, რევოლუციების და "ოცნების" მმართველობის სტილი ამომრჩევლის ნაწილისთვის მისაღებია"





ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის სასამართლო 29 აპრილს გაიმართება

ሮንሣሀያንያ3ሀፎሀ: ..R336 3067370 გენეხლებეს. **J3396NL ᲛᲐᲡᲨ**ᲒᲐᲑᲣᲠ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ" പ്രാന്ധ

პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება 500 მლნ ლარია



"ᲙᲐᲚᲐᲫᲔ മാവപ്പാഴാ **ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲘᲗ ᲩᲐᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲜ**"



ვახტანგ ძაბირაძე: "სასაცილოა, კუჭავაზე რომ ამბობენ, ნეიტრალური პიროვნებააო"





"6ᲐᲛᲐᲮᲕᲐᲜᲞᲔᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ 400



დიმიტრი ლორთქიფანიძე: "ამ პროექტზე გახარიას მთავრობა აგებს პასუხს"




"ᲑᲐᲕᲨᲕ**Ი Ს**ᲒᲠᲔᲡᲨᲘᲐ, ᲣᲪᲮᲝᲔᲑᲡ ᲔᲛᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ **Ր**ՆԲՆՐ ՍՅՆԿՆՅՐ, თბილისში

ბაღში აღმზრდელმა ბავშვზე იძალადა



**134M7733N4U** "ᲐᲡᲒᲠᲐᲖᲔᲜᲔᲙᲐᲡ" **JRN3NL** 





340900400 **ᲞᲝᲡ**ᲒᲖᲔ ᲘᲡᲔᲕ ลวลบยบวยบ **6**343631636

## .ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ

იაგო ნაცვლიშვილი

რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო საკოორდინაციო საბჭომ აღდგომის ღამეს კომენდანტის საათის გაუქმების თაობაზე და ხომ არ არის დისკრიმინაციული მიდგომა მის ქმედებებში? როგორ აფასებს არჩილ თალაკვაძის გადადგომას პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან? დასრულდა თუ არა ოპოზიციაში დისკუსია და გადაერთვნენ თუ არა ისევ თანამ-შრომლობის რეჟიმში? რა სახის თანამშრომლობა ექნებათ ოპოზიციურ პარტიებს და ექნებათ თუ არა კოორდინაცია თვითმმართველობის არჩევნებზე? - ამ და სხვა საკითხებზე "ახალ თაობასთან" ინტერვიუში "ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი ოთარ კახიძე საუბრობს.

– გუშინ ცნობილი გახდა, რომ საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, აღდგომის ღამეს შეზღუდვები იხსნება. როდესაც ცოტა ხნის წინ უარი უთხრეს კათოლიკეებს შეზღუდ-ვის მოხსნაზე და ხსნიან მართლმადიდებლებს, ეს 

- ზოგადად, როდესაც აძლევ შენს მოქალაქეებს საშუალებას, რომ თავიანთი რელიგიური დღესასწაულები აღნიშნონ, ეს ნორმალურია მაგრამ, როდესაც მოქალაქეებს ერთმანეთისგან ასხვავებ, ეს უკვე ცუდია, თან ამას არ აქვს გამართლება ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, იმიტომ, რომ დიდ ჯგუფს აძლევ ამ უფლებას, ხოლო მცირე ჯგუფს უზღუდავ უფლებას. პასუხი მარტივია – ეს არასწორია.

– შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს არის დისკრიმინაცია?

– ცხადია. დისკრიმინაცია სწორედ ეს არის, როდესაც განსხვავებულად ეპყრობი და ჯგუფებს ყოფ რელიგიური ნიშნით.

– როგორ გაიგეთ არჩილ თალაკვაძის გადადგომა და რამდენად ლოგიკურია ის განმარ-

ოთარ კახიძე: "საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილება დისკრიმინაციულია, ჯგუფების რელიგიური ნიშნით გაყოფა არასწორია"



ტებები, რომ თითქოს მოლაპარაკებებში იყო ჩართული და ა.შ.?

- ზოგადად, უმაღლესი თანამდებობის პირების გადადგომა როდესაც ხდება გაურკვეველი მიზეზებით და ბოლომდე გამჭვირვალე რო-დესაც არ არის პროცესი, ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ რეალობას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარე, გნებავთ, პრემიერ-მინისტრი ჩვენს ქვეყანაში ექვემდებარებიან არაფორმალურ მმართველ ბიძინა ივანიშვილს. რეალურად ის არის ჩრდილში მყოფი და გადაწყვეტილებების მიმღები. შესაბამისად, ნომინალური ფიგურები არიან ისინი, ვინც "ქართული ოცნების" მმართველობის პირობებში იკავებენ თანამდებობას. ეს თანამდებობები პრაქტიკულად ფორმალურია. რეალური ძალაუფლება

სხვას უჭირავს და ის სხვა წყვეტს, ვინ გადადგება და ვინ დაინიშნება ამა თუ იმ თანამდებობაზე, თორემ, როგორ შეიძლება, პარლამენტის თავმჯდომარე ასე გადადგეს ან მანამდე როგორც პრემიერ-მინისტრი გადადგა? იმიტომ, რომ არ ეთანხმებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს. ეს ხომ აბსურდია?! ამ აბსურდს, უბრალოდ, მივეჩვიეთ, ვინაიდან წლების განმავლობაში ასე გრძელდე--ბა. არის ვიღაცა თანამდებობის პირი, აქვს პასუხისმგებლობა, მაგრამ სინამდვილეში პასუხისმგებელია არა ჩვენ წინაშე ანუ ხალხის წინაშე, არამედ ექვემდებარება თავის უფროსს, რომელიც არის სასახლეში ან სადღაც სხვაგან, აგარაკზე.

– ივანიშვილის მორიგი ტრიუკია?

– ეს თქვენი შეფასებაა. მე რა შეფასებაც

გავაკეთე, ის პასუხი გაგეცით.
– რაც შეეხება იმას, რომ შესაძლოა, ის იყო თბილისის მერობის კანდიდატი, ამაზე რას იტყოდით? არის ანგარიშგასაწევი, რომ კონკურენციაში შევიდეს იმავე მელიასთან, რომელიც, სავარაუდოდ, იქნება კანდიდატი?

ვერ გეტყვით, ამას დრო აჩვენებს.

- ოპოზიციაში არსებულ ვითარებას რაც შეეხება, დარეგულირდა ეს ვითარება? გქონდათ მწვავე დისკუსია და ისევ თანამშრომლობის რე-ჟიმზე გადახვედით თუ რჩებით დისკუსიის რე-ჟიმში?

— შეთანხმებასთან დაკავშირებით არის ოპოზიციაში განსხვავებული მოსაზრებები, თუმცა ეს განსხვავებული მოსაზრებები სხვა უფრო სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე თანამშრომლობას არ უშლის ხელს.

– ანუ აგრძელებთ თანამშრომლობას და, ასე რომ ვთქვათ, ერთიანობას ინარჩუნებთ?

– ეს არასწორი ფორმულირებაა, იმიტომ, რომ ოპოზიცია ერთიანი არ ყოფილა, იყო მრავალფეროვანი. უბრალოდ, იყო გარკვეულ საკითხებზე თანამშრომლობა. არასწორი მოლოდინების გაჩენაა, როდესაც ამომრჩეველს ეუბნები, რომ ოპოზიცია რაღაცაში გაერთიანდა. გაერთიანება და ასეთი რაღაცა არ მომხდარა. იყო კონკრეტული საკითხების ირგვლივ თანამშრომლობა და ეს თანამშრომლობის საკითხი ეხებოდა ვადამდელი არჩევნების საკითხს, საარჩევნო ადმინისტრაციის ცვლილებას, პოლიტიკური მართლმსაჯულების დასრულებასა და ა.შ. ამ საკითხების ირგვლივ თანამშრომლობა და კოორდინაცია გაგრძელდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს ერთიანობას, რადგან, როდესაც არის ერთიანობა და მერე არის აზრთა სხვადასხვაობა, მერე საუბრობენ ერთიანობის რღვევაზე. არასწორი მოლოდინები არ უნდა გაუჩინო არავის, არასწორი სახელები არ უნდა დაარქვა თემატურ თანამშრომლობას ამა თუ იმ საკითხზე.

– არჩევნების კონტექსტშიც გქონდათ თანამშრომლობა იმავე საერთო კანდიდატებზე და

კი, მაგრამ ეს სხვადასხვა საკითხებია. არის თანამშრომლობა, კოორდინაცია თუნდაც საერთო კანდიდატებზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს ერთიანობას. ამას აქვს მნიშვნელობა.

– გაგრძელდება ეს თანამშრომლობა? - თემატური თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხზე აუცილებლად გაგრძელდება.

– მათ შორის არჩევნების კონტექსტშიც? – მათ შორის ამ თემაზეც, ოღონდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაიმე ბლოკი გაკეთდება, ერთიანობა იქნება და ა.შ. ამაზე საუბარი უადგი-

#### ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ: **ᲛᲐᲡᲨ**ᲒᲐᲑᲣᲠ ..R336 ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 63 ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘ**ᲒᲔ**ᲒᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ"

– ჩვენ ვიწყებთ ქვეყნის მასშტაბურ განახლებას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბა შვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა ახალი ინიციატივის წარდგენისას განმარტა, თუ რას მოიცავს პროგრამა.

ეს პროგრაშა გულისხმობს 63 მუნიციპალიტეტში ურბანულ განახლებას, მნიშვნელოვანი კულტურული, ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაციას, მუნიციპალიტეტების, ადმინისტრაციული ცენტრების რეაბილიტაციას, ასევე რეკრეაციული სივრცეების მოწყობას, რეკრეაციულ პარკებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ყველა მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ობიექტების რეაბილიტაციასა და მშენებლობას, ასევე, ყველა ქალაქის, ყველა მუნიციპალიტეტის, კურორტებისა და განსახლებების ურბანულ განახლებას. ასევე, პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ახალი დასასვენებელი, ტურისტული და საზოგადოებრივი ზონები.

რა თქმა უნდა, ყველას მოგეხსენებათ, რომ საქართველოში უამრავი ადგილია, რომლებიც უნდა გავხადოთ კიდევ უფრო მიმზიდველი, პირველ რიგ ში, ჩვენი მოქალაქეებისთვის და, ამავდროულად, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის სტუმრებისთვის, ჩვენი ტურისტებისთვის, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ქვეყნის რეგიონების თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა არის ძალიან

- ჩვენი მოქალაქეებისთვის ადგილზე ცხოვრების, შრომისა და ზოგადად განვითარების პირობების გაუმჯობესება ყველგან სახელმწიფოს მთავარი მიზანი უნდა გახდეს. ქვეყნის რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტურისტულად საინტერესო ახალი მიზიდულობის ცენტრების გაჩენა, სოციალური გარემოს გაუმჯობესება, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს თითოეული რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას, განახლებას, განვითარებასა და მოსახლეობისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენას.

რეგიონების განახლების პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება შეადგენს 500 მლნ ლარს. პროექტი ითვალისწინებს, პირველ რიგში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ჩვენი ვარაუდით, დაახლოებით 15.000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება პროექტის ფარგლებში და დასაქმდება ჩვენი რეგიონების მოსახლეობა

პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებზე ტენდერები ამ

პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება 500 მლნ ლარია კვირაშივე გამოცხადდება და, როგორც მოგახსენეთ, 63 მუნიციპალიტეტში ჩვენ

ივნისიდან დავიწყებთ მასშტაბურ სამუშაოებს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშროგორც პრემიერ-მინისტრმა აღ-

პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებს განახორციელებენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს "მუნიციპალური განვითარების ფონდი" და ასევე მუნიციპალი-

– პროგრამის დაფინანსება 500 მილიონი ლარის ფარგლებში მოხდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე სა-ერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით.

რაც შეეხება პროგრამას, პროგრამაში და პროექტში ჩაერთვება ყველა საუკეთესო არქიტექტორი, რა თქმა უნდა, ყველა რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ადგილზე არსებული ავთენტურობის შენარჩუნებით და ეს იქნება ძალიან ძლიერი დასაწყისი იმისა, რომ მოხდეს ჩვენი ქვეყნის მასშტაბური

აი ჩვენ ამ სამუშაოებს დავიწყებთ ძალიან მალე. ბატონი ირაკქარსელაძე და მისი გუნდი ბოლო 2 წლის განმავლობაში მუშაობდა ძალიან აქტიურად და მე მინდა, მას მადლობა ვუთხრა. ახლა უკვე რეალურად საქმეზე უნდა გადავიდეთ. ჩვენ მაქსიმალურად ახალი სტანდარტი უნდა დავამკვიდროთ ყველგან და თანაბრად, ყველა მუნიციპალიტეტში, ახალი, ევროპული სტანდარტი, რომელიც შეცვლის მთლიანად ჩვენი ქვეყნის საერთო სურათს. ახლა ჩვენ გვჭირდება მაქსიმალური მობილიზება, მეტი საქმე, მეტი შრომა

– საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სახელმწიფო პროგ რამა "განახლებული რეგიონები", რაც უპრეცედენტო მასშტაბის რეგიონების განახლებისა და განვითარების უნიკალური პროგრა-

მაა, – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ასეთი მასშტაბური პროგრამა საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა

– ჩვენი ძალისხმევა და ენერგია უნდა იყოს მიმართული გაძლიერებული, განვითარებული, ახალშესაძლებლობაშეძენილი რეგიონები და ეს სწორედ ის პროგრამაა, რაც ამის შესაძლებლობას იძლევა. ძლიერი რეგიონები ნამდვილად ნიშნავს ძლიერ საქართველოს, განვითარებულ საქართველოს, რომელიც უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით ქმნის ახალ შესაძლებლობებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე სტუმრების-

თვის. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი გამოისახება დამატებით შემოსავალში. დაახლოებით 15 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, შესაბამისად, 15 ათასი ადამიანი დასაქმდება. მნიშვნელოვანია, რომ ისინი არა მხოლოდ დასაქმდებიან, არამედ იმ ახალ უნარებსა და ჩვევებს შეიძენენ, რაც ისევ მათ შემდგომში უკვე კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე, – განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ.

ნათია თურნავას განცხადებით, მთავრობის მიერ დაწყებული ყველა დანარჩენი პროგრამა რეგიონულ ჭრილში გადაეწყობა.

- მიუხედავად პანდემიისა, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ტურისტული ინდუსტრია აღდგეს. ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ძალიან საინტერესო, უნიკალური, ახალი მიზიდულობის ცენტრები რეგიონებში და არა მხოლოდ დიდ ქალაქებში. ზოგადად, ჩვენი ყველა დანარჩენი პროგრამა გადაეწყობა რეგიონულ ჭრილში და კონკრეტული პროგრამების პაკეტებს შევთავაზებთ თითოეულ მუნიციპალიტეტს. ძალიან მალე ნახავთ, როგორ გაცოცხლდება სამშენებლო სამუშაოები, კერძო ბიზნესის აქტივობები, რომლებიც



#### "ᲜᲐᲛᲐᲮᲕᲐᲜᲰᲔᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲒᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 400 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲦᲝᲚᲐᲠᲘ ᲦᲐᲣᲯᲦᲔᲑᲐ დიმიტრი ლორთქიფანიძე: "ამ პროექტზე გახარიას მთავრობა აგებს პასუხს"

გულიკო ბალაძე

საკითხის შესწავლა იუსტიციის სამინისტროს დაავალა, რომელმაც პროცესში საერთაშორისო

– რას გულისხმობს ხელისუფლება მორატორიუმში, როდესაც მის მიერ გამოცემული აქტის მე-7 აბზაცში უწერია, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა გაგრძელდეს. რიონის ხეობის

მცველები სრულიად ადეკვატურად მოქმედებენ. მათ არ ცნეს ხელისუფლების ასეთი ფარსი, გამოაც-

ხადეს, რომ აღნიშნული დოკუმენტი გამოყენებულია დროის გასაწელად, რათა ხელისუფლებამ დრო

ექსპერტები უნდა ჩართოს. თქვენ როგორ აფასებთ ხელისუფლების ამ პოზიციას?

რიონის ხეობის მცველებს ვეთანხმები. ისინი მოითხოვენ გარკვეული მოქმედებების 100%-ით შეჩერებას, რის გამოც არსებობს პროტესტი. თავის დროზე ბატონმა ღარიბაშვილმა თქვა, რომ "ახალი თაობის" კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** პასუხობს. კაშხლის მშენებლობა შეჩერდებოდა. აღმოჩნდა, რომ მუშაობა გაგრძელდება ინფრასტრუქტურის – ბატონო დიმიტრი, ნამახვანჰესის პროექტთან დაკავშირებით ხელისუფლებამ მრავალპუნ-ქტიანი განცადება გამოაქვეყნა, ჰესის მშენებლობაზე 1 წლით მორატორიუში გამოაცხადა და

მორატორიუმს აცხადებს და იქვე წერს, რომ ინფრასტრუქტურის სამუშაოები, გრუნტის სამუშაოები გაგრძელდება. რას ნიშნავს ასეთი ჩანაწერი? ამაზე ხელისუფლებამ განმარტება უნდა გააკეთოს. ეს არ არის მორატორიუმი. მუხტი არ ჩაქრება. დღეს მთელი საქართველო ფეხზე დგას.

— პროექტის მოწინაალმდეგეები მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვენ.
— დიახ, მოთხოვნის საგანია ხელშეკრულების გაუქმება კომპანია "ენკასთან". ყველა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფოს აშკარად წამგებიანი პოზიცია აქვს დაფიქსირებული "ენკასთან გაგრძელება მე-4 გვერდზე

abaen m amb a **ᲒᲐᲛᲝ**ᲦᲘᲡ 1993 წሮበს 23 በ3ᲚᲘᲡᲘᲦᲐᲜ

**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

ტელეფონი: 599-532-690

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი **რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი

დი**რექტორი** – ზურაპ პერიძე

**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე **სარეკლამო სამსაზური** – 599-532-690

მოიგოს და პროტესტმა მუხტი დაკარგოს.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



## "ᲝᲪᲜᲔᲑᲐ" ᲐᲡᲔ ᲛᲐᲠᲒᲘᲕᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲨᲚᲔᲑᲐ

თორნიკე შარაშენიძე: "დღეს ხალხს საქართველოში ეშინია მკვეთრი ცვლილებების, რევოლუციების და "ოცნების" მმართველობის სტილი ამომრჩევლის ნაწილისთვის მისაღებია"

"ახალი თაობის" კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, გასული კვირის ბოლოს პარლამენტის თავმჯდომარემ თანამდებობა დატოვა. გადადგომის ერთერთ მიზეზად თალაკვაძის მერობის კანდიდატად დასახელებასაც განიხილავენ. თქვენ რამდენად ემხრობით ამ ვერსიას და გამოდის, რომ კალაძე "ოცნებიდან" მიდის?

- კალაძის წასვლაზე უკვე კარგა ხანია, დადის ხმები. ასე რომ, გამორიცხული არაფერია. ჯერ კიდევ არ აქვს "ოცნებას" გადაწყვეტილი მერობის თემა. ეს ძალიან სერიოზული საკითხია. თბილისის მერი ისეთი თემაა, რომელსაც ჯერ კიდევ სააკაშვილი იაზრებდა, რომ იქ უნდა ჰყოლოდა აუცილებლად

– თალაკვაძე რამდენად სანდოა და თავისიანი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით?

– ჯერ არ არის გადაწყვეტილი, იქნება თუ არა კანდიდატი თალაკვაძე. ამიტომ ამაზე საუბარი ნაადრევია. კალაძის ჩანაცვლება ასე მარტივი არ იქნება. მას ჰქონდა თავისი კაპიტალი ჯერ კიდევ პოლიტიკაში მოსვლამდე, როგორც რეპუტაციული, ასევე – ფინანსური. შესაბამისად, მისი ჩანაცვლება ასე მარტივი არ იქნება.

– მაშინ, რა იყო თალაკვაძის გადადგომის მიზეზი? ის, რაც ლიად ითქვა, არადამაჯერებელი იყო საზოგადოებისათვის.

ეს ლაშაზი ახსნა კი არის, რომ უფრო კომპრომისული ფიგურა უნდა იყოს ჩართული და არა ის, ვინც იომა. ვნახოთ ყველაფერს დრო გამოაჩენს. მე ნამდვილად არ ვიზიარებ იმ შეფასებას, რომ, არიქა, "ოცნება" იშლება. ეს სისულელეა! ასე მარტივად არ დაიშლება, იმიტომ რომ ძალიან ბევრი აქვთ დასაკარგი – ძალაუფლება, რესურსები და ასე შემდეგ. – მაშინ, რა ხდება, საარჩევნო გადახალისება მიმდინარე-

ობს ან სიურპრიზებს უნდა ველოდოთ?

ისეთი სიტუაციაა, რომ წინასწარ დასკვნების გაკეთე ბას არავის ვურჩევდი. ივანიშვილი ერთ ინტერვიუს თუ გვინყალობებს, ძალიან ბევრ რამეს გავიგებდით.

– ივანიშვილის ჩარევით ხდება ყველა ეს ცვლილება? – ასეთი სტრატეგიული ცვლილებები და გადაადგილებე<del>-</del>

ბი, რა თქმა უნდა, მისი ნებართვის გარეშე არ მოხდება

– რას იტყვით პარლამენტის ახალ თავმჯდომარეზე?

– კუჭავას მთავარი დამსახურება ალბათ არის ის, რომ მან დასავლეთთან კარგად იმუშავა და ეს ჩაეთვალა. დასავლეთთან მუშაობა მან დაიწყო მაშინ, როცა "ოცნებას" ძალიან უჭირდა დასავლურ ფრონტზე, ლამის ყოველდღე მოდიოდა სენატორე-ბის წერილები და სერიოზული დარტყმის ქვეშ იყო "ოცნება". ისე ჩანდა, თითქოს დასავლეთმა "ოცნებას" ზურგი შეაქცია, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო მართალი. უბრალოდ, ასეთი განწყობა გაჩნდა. ამ განწყობას ასევე ხელი შეუწყო ოპოზიციურმა მედიამ. ამ დროს ჩაერთო საქმეში კუჭავა და, როგორც

ჩანს, კარგადაც იმუშავა. ეს ყველაფერი დაუფასდა. მგონი, სწორედ ასე უნდა შევხედოთ ამ ყველაფერს ამ ეტაპზე. ნაჩქარევი დასკვნების გაკეთება არ მიყვარს და ყოველთვის ფაქტებით ვმსჯელობ. ფაქტი კი ეს არის, მან იმუშავა მაშინ, თანაც კარგად, როცა "ოცნებას" ძალიან

უჭირდა. – პირადად ივანიშვილის კადრიაო. ასეა?

– აბა, ჩემი კადრი ხომ არ იქნება ან თქვენი?!

– თუკი გადაწყდა და დააყენა "ოც-ნებამ" თალაკვაძის კანდიდატურა, კა-ლაძის მერე რა რეიტინგი ექნება?

– კალაძის მერე, რა თქმა უნდა, თალაკვაძეს მაღალი რეიტინგი ვერ ექნება, რადგან, თალაკვაძე როცა მოვიდა, მას პრაქტიკულად არავინ იცნობდა, თუმ-

ცა, როგორც ჩანს, მასაც აქვს რაღაც უნარები. ეს ამ მოლაპარაკებების დროსაც გამოჩნდა. მას ვერავინ დაუძახებს რუსეთის მონას, თავისი ბეგრაუნდიდან გამომდინარე, თუმცა კალაძისნაირი, რა თქმა უნდა, ვერ იქნება. ბუნებრივია, კალაძის მასშტაბი

– თუ კალაძე წავიდა, ამით რამდენად დაზარალდება "ოცნება"?

დღეს "ოცნების" მთავარ კაპიტალად მაინც რჩება ანტიმიშას განწყობა, რომელიც კვლავაც სერიოზულია. ეს არის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალი, რომელიც აისახება პირ-დაპირ ამომრჩეველზე. "ოცნებას" ამომრჩეველი ჰყავს და, რაც არ უნდა იყვიროს ოპოზიციამ, ეს ფაქტია. რა თქმა უნდა, ამას ემატება ადმინისტრაციული რესურსი და ემატება ივანიშვილის რესურსიც. დღეს ช่งლช่น นงปุ้งตัดลูกูตัดขึ้ก ฏชิกธิกง อิงูลูกูตัดก ცვლილებების, რევოლუციების და "ოცნების" მმართველობის სტილი ამომრჩევლის დიდი ნაწილისთვის მისაღებია მაინც. ერთ-ერთი კაპიტალი, გახარია და კალაძე, რა თქმა უნდა, "ოცნებას" ქულებს მატებდა, მაგრამ გადამწყვეტი, რაც ჩამოვთვალე, მაინც ეს ფაქტორებია და მთავარი მაინც ხალხის განწყობაა.

– თუ კალაძე არ იქნება მერობის კანდიდატი, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ გახარია და კალაძე ერთად ვიხილოთ?

ჯერჯერობით არა მგონია, იმიტომ რომ კალაძე ასე მარტივად არ გადახტება იმავე გახარიასთან, თუმცა ეს გამორიცხული არ იქნება, რადგან ორივე შედარებით დამოუკიდებელი ფიგურაა, ორივეს თავისი პოლიტიკური კაპიტალი გააჩნია.

– ეს ყველაფერი ივანიშვილის თამაშებია სამეფო კარზე? არა მგონია, ასე მარტივად იყოს საქმე. პირადად მე შეთქმულების თეორიებს სკეპტიკურად ვუყურებ. თუმცა, მოდით, ეასე ვთქვათ, ორივეს, კალაძესაც და გახარიასაც, მოუწევთ, ანგარიში გაუწიონ ივანიშვილის ფაქტორს. მის წინააღმდეგ ასე მკვეთრად არ წავლენ და ვერც წავლენ. ამდენი ხანი ამ სისტემის ნაწილები იყვნენ. ეს კარგადაც გამოჩნდა იმ კომენტა

რებში, რომლებიც გახარიას გუნდმა გააკეთა. ისინი არ მიდიან "ოცნების" წინააღმდეგ, აცნობიერებენ, რომ აქედან არიან წამოსული და ეს ჭკვიანურიც არის, ამ ეტაპზე, ყოველ შემთხვევაში.

ოპოზიციურ ფლანგზე რას იტყვით? ნაწილი შევიდა, ნაწილი გარეთ დარჩა, ზოგს მოსწონს დო-კუმენტი, ზოგს – არა. ასევე ვერ შეთანხმდნენ ამნისტიის კანონპროექტზე. ნიკა მელიას ევროკავშირი უდგება თავდებში და, როგორც იქნა, ის ამ შეთავაზებას დასთანხმდა. რამდენად მოგებული ან წაგებული დარჩა ნაცმოძრაობა ამ პროცესით?

ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს, პრინციპში, "ოცნე-ბის" გამარჯვება უფრო იყო, ვიდრე

ოპოზიციის. ეს კარგად გამოჩნდა, როცა ამერიკის ელჩმა ბევრისთვის მიუღებელი განცხადება გააკეთა, მელიას თუ უნდა, გამოვიდეს, თუ არ უნდა, იქ დარჩესო. ეს ნიშნავს იმას, რომ დასავლეთი დაიღალა ამ გაუთავებელი კინკლაობით. მათ ჩათვალეს, რომ მაქსიმუმი გააკეთეს შერიგებისთვის. "ოცნებამაც" დათმო და ახლა რაღაც ნაბიჯი უნდა გადადგან ნაცმოძრაობამაც და მელიამაც, საპასუხო ნაბიჯი კომპრომისისკენ

– ამერიკის ელჩის განცხადებამაც ხომ არ დააჩქარა მელიას გადაწყვეტილების შეცვლა? მიხვდნენ, რომ გადაამლაშეს?

- რა თქმა უნდა, რაღაც კომპრომისული ნაბიჯი ხომ უნდა გადადგას ნაცმოძრაობამაც. იმას, რასაც ნაცმოძრაობა ითხოვდა, ბუნებრივია, 100%-ით არავინ დაუკმაყოფილებს. ამას კი უნდა მიხვდეს ყველა. ნაცმოძრაობამ თვითონვე ჩაიგდო თავი ამ

– რა მდგომარეობაში?

– თავიდანვე აიღო მაღალი თამასა. ეს თამასა იყო ხელისუფლებაში მოსვლა, თუნდაც რევოლუციური გზით. რომ დაინახეს, ეს არ გამოდის, ახლა უჭირთ უკანდახევა. სააკაშვილი ხვდება, რაც გააკეთა და ახლა ცდილობს, გამოძვრეს ამ სიტუაციიდან.

– რამდენად გამოძვრება?

– ჯერჯერობით ვერ გამოძვრა. სააკაშვილის განცხადება, შედით პარლამენტშიო, გია ბარამიძემაც კი გააპროტესტა. მათ თავიდან აიღეს რისკიანი სტრატეგია. ამ ეტაპზე, ფაქტია, ეს სტრატეგია ჩაუვარდათ და ახლა იმკიან შედეგს. ყველაზე მეტად დაზარალებულები ისინი გამოდიან.

– შესვლაც აზარალებთ და ქუჩაში დარჩენაცო. ასეა?

უფრო მეტად მაინც ქუჩაში დარჩენა აზარალებთ. ყველა ვარიანტში ასეა, იმიტომ რომ ეს პოლიტიკური პროცესებისგან იზოლირებას ნიშნავს. ახლა რამდენიც არ უნდა ეძახონ პარლამენტში შესულებს მოღალატეები, ეს რეალობას არ ცვლის. წესით, თვითონაც უნდა შევიდნენ, თორემ ძალიან დაზარალდე-

## "ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲘᲗ ᲩᲐᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲜ"

ვახტანგ ძაბირაძე: "სასაცილოა, კუჭავაზე რომ ამბობენ, ნეიტრალური პიროვნებააო"



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე "ახალ თაობასთან" ინტერგიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, რამდენად სარწმუნო ვერსიაა, რომ არჩილ თალაკვაძე ადგილობრივ არჩევნებზე თბილისის მერობის კანდიდატი

 იმდენად მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო, რომ ამ გადაწყვეტილების უკან რაღაც იმალება, რაღაც ცვლილება, ეს ვერსია ძალიან რელევანტურია. სხვაგვარად აუხსნელია ეს ყველაფერი. არჩილ თალაკვაძე არ არის ის ფიგურა, რომლის წინააღმდეგაც გარკვეული ნეგატიური განწყობები დაგროვდა და ამიტომ გაუშვეს.

თუ კახა კალაძე არ აპირებს განმეორე-อักด კენჭისყრას, "ปรดัดულ ოცნებას" სერიოზული პრობლემა ექნება თბილისის მერობის კანდიდატის შერჩევისას. არჩილ თალაკვაძე "ქართულ ოცნებაში" დღეს ის პირია, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია კალაძის ჩანაცვლება. ამიტომ ვამბობ, რომ ყველაზე სარწმუნო ვერსიაა, თბილისში "ოცნების" კანდიდატი სწორედ თალაკვაძე იყოს.

– მმართველ პარტიაში კიდევ უნდა ვე-

ლოდოთ ცვლილებებს?

 ადგილობრივი არჩევნების წინ "ქარ-თულ ოცნებაში" სერიოზული გადაჯგუფება იქნება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ სერიოზული ცვლილებები იყოს მთავრობაში ძალიან მალე. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები ნამდვილად იქნება გადადგმული.

 შეიძლება, ხმაურიანი პროცესი იყოს? – არა მგონია. ეს უფრო შეთანხმებული მოქმედება იქნება, ვიდრე სენსაციებით წასვლა



და კარის გაჯახუნება. არ ვფიქრობ, რომ დაპირისპირება მოხდება. ეს უფრო არის ძალების გადაჯგუფება, რადგან "ქართული ოცნების" წინაშე ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა დგას, რომელიც\_ადგილობრივ არჩევნებს უკავშირდება. 43%, რომელიც უნდა მიიღოს მმართველმა პარტიამ, არ არის ასე მარტივად მოსაპოვებელი. "ქართული ოცნებისთვის" ადგილობრივ არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა

– მაშინ, გამოდის, კობახიძესაც უნდა შეეხოს ეს ცვლილება, როგორც პარტიის თავმჯდომარეს.

– გასაგებია, მაგრამ ამ შემთხვევაში ადილობრივ არჩევნებზეა საუბარი, როდესაც მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვინ არის პარტიის თავმჯდომარე, არამედ ის, თუ ვინ არიან კან-დიდატები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და

– კალაძე, რომელსაც ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს, რატომ არ შეიძლეპა იყოს კვლავ კანდიდატი, თუ რეიტინგულ ფიგურას ეძებს "ოცნება"?

– ვერ გეტყვით. არ ვიცი, რა ქვედინებებს

შეიძლება ჰქონდეს ადგილი "ქარ-თულ ოცნებაში". მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ კალაძეს, შეიძლება, თავად არ უნდა ხელახლა კენჭის-

გუნდებს შორის დაპირისპირებას გამორიცხავთ?

ვერაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ, მე უფრო ვფიქრობ, რომ კალაძე გარკვეული დროით შეიძლება პოლიტიკას საერთოდ ჩამოშორდეს. გეთანხმებით, მას საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს, მაგრამ ვუშვებ იმ ვარიანტს, რომ თუ კალაძე არ იქნება კანდიდატი, მაშინ თალაკვაძე ერთ-ერთი ყველაზე მისაღები კანდიდატია "ოცნებაში". ის ყველაზე უპრეტენზიოა

– ადგილობრივ არჩევნებზე ბიძინა ივა-ნიშვილის როლი როგორი შეიძლება იყოს, თან იმ ფონზე, როდესაც 43%-ზეა ვადამდელი არჩევნები მიბმული? გააქტიურდება?

– არ ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ დაარღვიოს დადებული პირობა და ღიად გამოვიდეს ასპარეზზე. ამ შემთხვევაში მისი წასვლები და დაბრუნებები ძალიან კომიკურ იერს შეიძენს. ამ შემთხვევაში არც იმას გამოვრიცხავ, რომ მისმა ღიად გამოჩენამ წინასაარჩევნო კამპანიაში არათუ დადებითი შედეგი მოიტანოს, პირიქით, შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს. ცალკე თემაა, როგორ შეიძლება, ეს გამოიყენოს ოპოზიციამ. რაც შეეხება კონსულტაციებს, ეს იქნება, მაგრამ არჩევნებში დახურულ კონსულტაციებს დიდი მნიშვნელობა მაინცდამაინც არ აქვს. აი, დაფინანსება, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ნებისმიერ არჩევნებში, რასაკვირველია, იქნება.

– პატონო ვახტანგ, თქვენთვის რა გზავ-ნილია კახა კუჭავას წამოწევა? თქვენ რას უკავშირებთ ამ სვლას?



– თითქოს მეტ-ნაკლებად ნეიტრალური ფიგურა მოდის – ეს მოგონილი არგუმენტი მგონია. კუჭავა თალაკვაძეზე მეტ-ნაკლებად ნეიტრალური ვერ იქნება ვერანაირად. რას ნიშნავს ნეიტრალური?! მეცინება. როგორც ჩანს, ვიღაცამ მოიფიქრა, უფრო ნეიტრალური ფიგურა მოდის – კარგი არგუმენტი იქნებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში კახა კუჭავა დაიკავებს იმ პოზიციას, რა პოზიციაც ექნება გუნდს კენჭისყრის დროს თუ სხვა ვითარებაში.

– დღეს პლენარულ სხდომაზე ოპოზიცია შევა? როგორც "ოცნების" ლიდერები აცხადებენ, ოპოზიცია სხდომაზე იქნება წარმოდგენი-

– თუ ოპოზიცია სხდომაზე არ შევა, უკვე მართლა ტრაგიკომედია იქნება. მეორე სესიაზე შევა?! თუ ამნისტიის კანონპროექტია მიზეზი, მაშინ შეუძლიათ, თავიანთი კანონპროექტიც დაარეგისტრირონ და ხელისუფლების კანონპროექტის კენჭისყრაზე არ მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ პარლამენტის ტრიბუნა გამოიყენონ. ეს მათი შესაძლებლობაა და ამ შესაძლებლობაზე უარი არ უნდა თქვან.



## "ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲠᲔᲘᲒᲘᲜᲒᲘ ᲒᲐᲖᲕᲘᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲡᲖᲔ ᲓᲔᲜᲘᲙᲘᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲘᲥᲓᲔᲑᲘᲐᲜ"

**3** 

ბენ.

მარიამ მჭედლიშვილი

გიგლა ბარამიძე: "კობახიძე არ წავა... პოლიტიკაში სხვა ცვლილებებიც იქნება"

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ევროკავშირის მედიაციით მიღწეული შეთანხმების შემდეგ ჩნდება კითხვა — ხომ არ დაბრკოლდება მისი განხორციელება? დავის საგანი გახდა ამნისტიის ფორმა, რომელმაც ციხიდან ნაცმოძრაობის ლიდერი ნიკა მელია უნდა გაათავისუფლოს. იმავდროულად, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი დატოვა არჩილ თალაკვაძემ. "ოცნებაში" ამას ჩვეულებრივ როტაციას უწოდებენ, ოპონენტები კი "ქართული ოცნების" რღვევაზე საუბრობენ. — ამ და სხვა საკითხებზე "ახალი თაობა" ესაუბრა პოლიტიკოს გიგლა ბარამიძეს. —გარკვეული ხნის წინ ჩვენთან ინტერვიუში

—გარკვეული ხნის წინ ჩვენთან ინტერვიუში თქვით, რომ გახარიას წასვლის შემდეგ პოლიტიკაში სხვა ცვლილებებიც იქნება. "ქართულ ოცნებაში" სიტუაცია აირია. თალაკვაძე გადადგა.

**ბაში" სიტუაცია აირია. თალაკვაძე გადადგა.**– როცა ცვლილებებზე გითხარით, ამასაც ვგულისხმობდი.

— კობახიძეზე რას იტყვით, ისიც მიდის?
— კობახიძე არ წავა. სხვა ცვლილებებიც იქნება. პირადად მე ეს ნაკლებად მაღელვებს. ამაზე ჯერ არაფერს ვიტყვი. ჩემი პროგნოზები თქვენთან საუბარში სხვა დროსაც გამომითქვამს და ყველაფერი შესრულებულა. როცა რამეს წინასწარ ვამბობ, რომელიმე წყაროს არ ვეყრდნობი. ვაკეთებ ანალიზს არსებული ინფორმაციის საფუძველზე. იმასაც გეტყვით, რომ დარჩენილი ოპოზიციაც შევა პარლამენტში.

– არადა, შეთანხმების ჩაშლაზეც საუბრო-

— მაგას მნი შვნელობა არა აქვს. ხან ერთს იტყვიან, ხან მეორეს, დროს გაჭიმავენ, ბოლოს კი პარლამენტში შევლენ.

— შარლ მიშელის დოკუმენტის თანახმად, თუ მმართველი პარტია ადგილობრივ არჩევნებზე ვერ აიღებს 43%-ს, 2022 წელს ინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ისეთი სიტუაცია ხომ არ ყალიბდება, რომ ვადამდელი არჩევნები უფრო ადრე ჩატარდეს?

— დღეს ეს საკითხი არ დგას დღის წესრიგში. იმათი გამკვირვებია, ვისაც ვაი-უშველებელი აქვს ატეხილი "ქართული ოცნების" დაშლაზე. გაიძახიან, "ქართული ოცნების" რღვევააო. რა უხარიათ, ვერ გავიგე. "ქართული ოცნების" პატრონი, დამფინანსებელი და დამფუძნებელი ვინც იყო, იმ კაცმა გასაგებად თქვა, რაც არის მოსალოდნელი.

– პიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ "ოცნეპა" შეიძლება ოპოზიციაში გადავიდეს.

— მეც ამას ვამბობ. მისი სიტყვებით, "ქართული ოცნება" წავა ოპოზიციაში, უმრავლესობაში კი სხვა ახალი ძალები მოვლენ.

– გახარიასა და კალაძეს ცალ-ცალკე რა როლი ექნებათ ამაში?

გახარიას რეიტინგი გაზვიადებულია.
 პერსონალური რეიტინგი არ მოასწავებს პარტიის მაღალ რეიტინგს?

– არც პერსონალური აქვს სახარბიელო. გახარიაზე ამბობენ, 25%-ს აიღებსო. ეს ტყუილია. არც პერსონალური რეიტინგი აქვს შთამბეჭდავი. ის პრემიერი იყო და პასუხისმგებელია ყველაფერზე, რაც ქვეყანაში ხდებოდა. რასაც ვაკვირდები, გახარიაზე გიჟდებიან დენიკინის დროინდელი ქალები. ჩვენში იციან ხოლმე რომელიმე პოლიტიკოსის ამოჩემება და გაკერპება. ეს მთელ საზოგადოებას არ ეხება. გახარია ვერასდროს წავა ივანიშვილის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ისიც გასარკვევია, ექნება თუ არა გუნდში ერთიანობა.

– გახარიას გუნდი შეიძლება ერთიანი არ

მას ჰყავს "ქართუ ბანკის" წარმომადგენლები. არავინ იცის, რა პოზიციას დაიჭერენ ისინი.
- კალაძეზე რას იტყვით?

– თუ ავადაა, გამოჯანმრთელებას ვუსურ-

– კახა კალაძე ისე ავად არაა, რომ პოლიტიკიდან წავიდეს.

– თუ სერიოზული არაფერი სჭირს, მაშინ გაუთავებლად თავის ჯანმრთელობაზე არ უნდა ილაპარაკოს.

– იქნებ პაუზის აღება ესაჭიროება?

- არვიცი. კალაძე პოლიტიკურად გაქნილი კაცია და რთულ სიტუაციას არაერთხელ გარიდებია. ერთ მაგალითს მოვიყვან — ჩატაევმა და მისმა გარემოცვამ რომ თბილისის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ უბანში სროლა ატეხა და სპეცოპერაცია ტარდებოდა, კალაძე გაქრა. გამოჩნდა ორი დღის შემდეგ. მისგან რთულ დროს პაუზის აღება და ავადმყოფობის მომიზეზება გასაკვირი არ უნდა იყოს. როცა ჩათვლის საჭიროდ, დაავადებაზე ილაპარაკებს, როცა მოუნდება, გამოჩნდება და გააქტიურდება.

– ოპოზიციაში იმედოვნებენ, რომ ერთიანობას აღადგენენ და არჩევნებზე ერთი ფრონტით გამოვლენ. რას იტყვით?

— ეგ ოპოზიცია დღე-ღამეში 20 საათი ტელეეკრანებზეა. საზოგადოების უმრავლესო-ბას ეს პოლიტიკოსები ისეც აღიზიანებდა, ბოლო დროს კი ხალხს მათი დანახვა აღარ შეუძლია. რაც უფრო ხშირად გამოჩნდებიან, მით უფრო დაიგდებენ რეიტინგს. ჩაატარეთ გამოკითხვა და დარწმუნდებით, რას ფიქრობენ ამ ოპოზიციაზე. ტელეეკრანებზე სისტემატურად მოკიაფე პოლიტიკოსები გინდ გაერთიანებულან და გინდ არა. თუ ხალხი ვერ გიტანს, გაერთიანება რას გიშველის?!

#### "ᲜᲐᲛᲐᲮᲕᲐᲜᲰᲔᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ <mark>ᲒᲐᲬᲧᲕᲔ</mark>ᲢᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 400 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲯᲓᲔᲑᲐ"

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ხელშეკრულების დადების დროს, რაც ბადებს ეჭვს, რომ ეს არის მაღალი ელიტური კორუფციის გამოვლინების ფაქტი, ვინაიდან, როგორც ბიზნესის, ისე კომერციული და პოლიტიკური რისკების დაზღვევის მთელი ვალდებულებები საქართველოს სახელმწიფოს აკისრია. საერთოდ, "ენკასთვის" არანაირი წამგებიანი მუხლი ხელშეკრულებაში არ არის. მისთვის ფორსმაჟორი არ არსებობს, რომელიც "ენკას" ამ ბიზნესპროექტში მონაწილეობისას მოგების რაიმე კომპონენტს შეზღუდავდა.

— სახელმწიფოთა შორისი ხელ შეკრულებაა გაფორმებული თუ საქართველოს სახელმწიფოს უშუალოდ კომპანია "ენკასთან" აქვს გაფორმებული ხელ შეკრულება?

— ეს არის სახელმწიფოსა და კერძო კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის სადავო საკითხების განხილ- კა უნდა მოხდეს საერთაშორისო არბიტრაჟში, მაგრამ ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება ცალსახად მომგებიანია "ენკასთვის". ყველა რისკი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ბიზნესპროექტის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოს აქვს აღებული, ანუ "ენკა" 100%-იან მოგებაზეა.

– სახელმწიფოს ხელშეკრულების გაუქმება რა პირობებით შიუძლია?

— ჰესის მშენებლობა კი არ არის მთავარი პრობლემა, არამედ პრობლემაა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის ფაქტი. 5 მილიონ 760 ათასი კვადრატული მეტრი მიწა გადაეცა "ენკას", მათ შორის, რიონის კალაპოტის გაყიდვა. საჯარო რეესტრში პირდაპირ წერია,

მდინარე რიონი გადაეცესო.

ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა. ამას ეროვნული კანონმდებლობაც კრძალავს. ელემენტარულად, ევროპის კონტინენტზე არსებულ არც ერთ სახელმწიფოში მდინარის კალაპოტის გაყიდვის პრეცედენტი არ არის. ვკითხულობთ, კონკრეტულად, 576 ჰექტარი მიწა როგორ გადასცეს მშენებელ კომპანიას? იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ ამაზე პასუხი გაგვცეს, ენერგოდამოუკიდებლობასა და ენერგოუსაფრთხოებაზე გვესაუბრება და გვადანაშაულებს, თითქოს საქართველოს დამოუკიდებული და უსაფრთხო ენერგოსისტემა არ გვინდა.

ხელისუფლებამ ჩუმად, სახელმწიფოს, ხალხისა და საზოგადოების გვერდის ავლით ორი წლის წინ 6 მილიონი კვ.მ. მიწა გადასცა მშენებელ კომპანიას. ეს ჩვენთვის ახლა გახდა ცნობილი, ახლა გიპროტესტებთ. რა შუაშია აქ ჰესი? ამ შემთხვევაში აქ მთავარია მიწის გადაცემა და არა ჰესი. ჰესი მეორეხარისხოვანია. ყველას ძალიან გვინდა, რომ ქართული ჰიდროენერგეტიკა განვითარდეს. ჰესს აშენებინებ და თან მიწას ჩუქნი საკუთრების უფლებით ერთი საუკუნით, თან 280 ჰექტარი აღნაგობითაა გადაცემული. აღნაგობა იჯარის ფორმა არ არის. აღნაგობა გარკვეული

აღსაგოია იჯაოია ფოოია აო აოია. აღსაგოია გარკვეული მავალდებულებელი ურთიერთობაა სახელმწიფოსა და კერძო კომ-პანიას შორის, რომლითაც სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულე-ბები აქვს, მათ შორის, დამატებითი მინის ფართების გადაცემაზე. ხელშეკრულებაში 600 ჰა-მდე დამატებით ცაგერის მუნიციპალი-ტეტში მინის გადაცემის შესაძლებლობაზეა ლაპარაკი.

მეტიც, რიონს წყალი რომ დააკლდეს, სახელმწიფოს ცხენისწყლის ხეობიდან გადმოტანის ვალდებულება აკისრია, ანუ ახალი გენერაციები სახელმწიფოს ხარჯზეა, ოღონდ "ენკას" წყალი არ მოაკლდეს. საერთოდ, "ენკა" წაუგებელ თამაშს თამაშობს, მიიღო მიწები, გარანტია, მიიღო წყლის რაოდენობა და გარკვეული დებეტი სახელმწიფოსაგან. ყველანაირად გარანტირებულია ისე, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში ბუნებრივი წიაღისეულითაც შეუძლია, უპრობლემოდ ისარგებლოს, ამოიღოს, რაც უნდა და რა რაოდენობითაც უნდა.

ფაქტობრივად, ლიცენზიაც აღებული აქვს კერძო საკუთრებასთან ერთად ავტომატურ რეჟიმში. რაც ყველაზე მთავარია, იმ მინებზე, რომლებიც წყალტუბოს, ტყიბულისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებს ეკუთვნის, შეუძლია, თავისი ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელოს, ჩამოიყვანოს სამუშაო ძალა, ინჟინრები, კვალიფიციური მუშახელი თავიანთი ოჯახებით, შეუქმნას მათ დასახლებული პუნქტები, საგანმანათლებლო და რელიგიური, შექმნას ანკლავი. – ანუ შეიძლება შეცვალოს დემოგრაფიული ვითარება?

— შეუძლია განახორციელოს თურქეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ გეოსტრატეგიული მიზანი. მხოლოდ დემოგრაფიაზე კი არ არის საუბარი, არამედ — გეოპოლიტიკურ სტრატეგიაზეც, რომლითაც ნატოს ფლაგმანი წევრი სახელმწიფო, თურქეთი, რომელმაც ერთი ფეხი უკვე ჩადგა აზერბაიჯანში და შექმნა ბაზები, ახლა მეორე ფეხს ჰესისა და ჰიდროელექტროენერგეტიკული კასკადის საფარქვეშ საქართველოში დგამს, წამოიმართება, გასწორდება წელში და ნატოს სრულფასოვანი წარმომადგენელია.

ზუსტად ეს არის გეოპოლიტიკური მიზანი, ჩვენი სახელმწიფოს თავზე გადაბიჯების ფასად უნდა განვახორციელოთ საქართველოს მოსახლეობის, მომავალი თაობების სახელით.

– რა უნდა განვახორციელოთ მომავალი თაობების სახე-

— საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება სხვა არაფერია, თუ არა თაობათა შორის სოლიდარობის განხორციელების აქტი. როდესაც შენ 6 მილიონ კვადრატულ მეტრ მიწას აძლევ კერძო კომპანიას, რომელმაც უნდა აგიშენოს და იქიდან დივიდენდი უნდა მიიღოს. ამ დივიდენდზე ხელშეკრულებაში წერია: 15 წლის განმავლობაში ღირებულება 6,4 ცენტი იქნება 3%იანი ყოველწლიური ნამატის გარანტიით.

15 წლის შემდეგ ბაზარი საითაც მიუთითებს, ელექტროენერგიას იქით წაიღებს. ბუნებრივია, წავა თურქეთის რესპუბლიკაში. ნამახვანჰესი რომ აშენდეს, მთლიანად თურქეთის საბაზისო ჰიდროენერგეტიკული გენერაციის ობიექტი იქნება. მეტიც, იქნება არა მხოლოდ თურქეთის, არამედ ანგლოსაქსური გეოპოლიტიკის, გეოსტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც საქართველოში ხორციელდება, როგორც ჰიდროენერგეტიკული კასკადის მშენებლობა.

– "ენკას" აქეთ თავდებად უდგას საქართველოს სახელმწიფო, რომ პრობლემა არ შეექმნას. თურქეთის სახელმწიფო თავდებად უდგას?

– არა. ამ შემთხვევაში თურქეთი, როგორც სახელმწიფო, ხელშეკრულებაში ღიად არ ჩანს, მაგრამ დაფიქრდით, რა კომპანიაა "ენკა". "ენკა" 1956 წელს დაფუძნდა იმ თანხებით, რომელიც თურქეთმა მიიღო მეორე მსოფლიო ომით დაზარალებული გერმანიის აღორძინების ფარგლებში მარშალის გეგმით განხორციელებული ინვესტიციებით, რომელიც წამოვიდა გერმანიის აღმშენებლობისთვის. თურქეთმა მიიღო განსაკუთრებული როლი გერმანიის აღმშენებლობის საქმეში. ამიტომ ცხოვრობს გერმანიის ტერიტორიაზე 6 მილიონი თურქი.

ბატონი ერდოლანი ღიად აცხადებს, ჩვენი მიზანია, დემოგრაფიული პოლიტიკა განვახორციელოთ ისე, რომ თითოეულმა თურქულმა ოჯახმა გერმანიაში თუ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში ძალიან ბევრი შვილი იყოლიოს და ამით გააძლიეროს თურქული ექსპანსიალ. ისინი ამაზე ღიად საუბრობენ, არაფერს მალავენ.

– შეიძლება, გაუქმდეს ხელშეკრულება ისე, რომ ჩვენ არ აღმოვჩნდეთ დაზარალებული?

– ხელისუფლებაში ხელშეკრულების შეწყვეტა არავის სურს. მისი შეწყვეტა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია 94-ე გვერდზე, მე-3 პუნქტით, სადაც პირდაპირ წერია, რომ საბაზისო ღირებულების პირგასამტეხლო სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს.

– რამდენს შეადგენს ეს პირგასამტეხლო?

— საბაზო ღირებულებაა დაახლოებით 800 მლნ დოლარი. მისი ნახევარი, 50% 400 მილიონი იქნება, მაგრამ ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს — 2019 წელს მთავრობის განკარგულებას ხელი მოეწერა ისე, რომ ამის შესახებ საზოგადოება საქმის კურსში არ იყო. ეს არის მთელი იმდროინდელი მთავრობის სრული პასუხისმგებლობის საგანი. მთავრობის რეგლამენტით, სანამ პრემიერ-მინისტრი ხელშეკრულებას ხელს მოაწერს, აქტის გამოცემამდე წინმსწრებად უნდა დაიდოს სამი სამინისტრო უწყების, იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების შეფასება.

- องปรูสุธิภูชิก งศ์ งศกป?

 არ ვიცი, დასკვნები დევს თუ არა. "მაცნეშიც" კი ძალიან ძნელია მიაკვლიო არათუ ამ დასკვნებს, არამედ გახარიას ხელმოწერილ სამართლებრივ აქტსაც, რომელსაც მთავრობის განკარგულება ჰქვია.

– 400 მლნ დოლარი საქართველოსთვის პატარა თანხა არ



– წულუკიანი კულტურის მინისტრი გახდა. წესით, ერთერთი დასკვნა მას უნდა ჰქონდეს მომზადებული 2015 წლამდე. ვანო მაჭავარიანი ისე გაიძურნა გახარიასთან ერთად, ნამახვანთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. გიორგი გახარიაც ამ პრობლემაზე საერთოდ ხმას არ იღებს. ამ ყველაფრის მთავარი შემოქმედი ნათია თურნავა ხმალამოღებული იბრძვის, რომ რამენაირად სახალხო პროტესტი ცრუ დაპირებებითა და ბრალდებებით გადაფაროს. ეს მთლიანად ქმნის მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს.

– ნუთუ არ შეიძლება, ნაკლები დანაკარგის ფასად გამოვიდეთ?

– ხელშეკრულებაში კი წერია, რომ საბაზისო ღირებულების
– 800 მილიონი – 50% 400 მილიონი უნდა გადავიხადოთ, მაგრამ, რადგან მთელი ეს გარიგება ხალხისთვის დამალული იყო, არსებობს დიდი დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადგილი ჰქონდა ელიტურ კორუფციას. თუ დადასტურდება, რომ ამ ყველაფერში მონაწილეობდა გარკვეული კორუფციული გარიგებები, მაშინ ჩვენ იმ 400 მილიონის გადახდის ვალდებულებაც აღარ გვექნება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ დონეზე დაიწყოს გამოძიება მაღალი ლეგიტიმაციის სპეციალური პროკურატურის ან სპეციალური კომისიის მიერ, რომელშიც საზოგადოების აქტიური სახეები იქნებიან.
– ეს ჩინოვნიკების პასუხისმგებლობა იქნება. "ენკას" მაინც

ხომ უნდა გადავუხადოთ პირგასამტეხლო?

— "ენკას" მხრიდან ხელშეკრულებაში ჩადებული ვალდებულებები უნდა გაისინჯოს მათ კორუმპირებულობაზე, რადგან ეს ვალდებულებები სახელმწიფოს ცალსახად აზარალებს და მოგებას მხოლოდ "ენკას" აძლევს. შესასწავლია, ხომ არ არის ამაში კორუფ-ციული ფული. თუ დადასტურდება, რომ გახარიას მთავრობა იყო კორუმპირებული და ყველაფერი გაკეთდა შავი ფულის გადახდისა და მაღალი თანამდებობის პირების მოქრთამვის ხარჯზე, მაშინ გადასახადის გადამხდელმა საზოგადოებამ რატომ უნდა გადაიხადოს კორუმპირებული მთავრობის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად დაკისრებული 400 მილიონი?!

– თუ კორუფციის ხარჯზე არ იქნება, მაშინ რა ხდება?

— ეს სამართლებრივი კოლიზიაა და ახლა ამაზე გაზეთის ფურცლებზე ნუ ვიდავებთ. ეს უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და ეროვნულ დონეზე ჩატარებული გამოძიების შემდეგ.

– რატომ არ ქმნიან რიონის ხეობის დამცველები კომპეტენტური სპეციალისტებისაგან საზოგადოებრივ კომისიას, რომელიც დასკვნას დადებს და ხელისუფლებას მოლაპარაკებებისას დაუჯ-

— პროტესტს სათავეში უდგანან ჩვეულებრივი ადამიანები და ძალიან სწორ სტრატეგიას ადგანან. ამ ეტაპზე არც ერთი საჯარო პირი მათ გვერდში არ ტრიალებს. პროტესტის მიზანია, ხელისუფლებამ ნებაყოფლობით აიღოს ხელი ხელშეკრულებაზე, ამიტომ ამ ეტაპზე ჯერჯერობით ეს საკითხი არ განიხილება, თუმცა, როდესაც პროტესტი დედაქალაქში გადმოინაცვლებს და მასში საზოგადოების ფართო წარმომადგენლები გაერთიანდებიან, ეგ საკითხი აუცილებლად დადგება.



#### **ผมของสมา ว**ะวองหลอง **ታን**ያህ ፌን<del></del>ቅሣንቦ

გუშინ, 26 აპრილს, სოფელ ჩუმლაყში ახალგაზრდა მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს.

მიყენებული დაზიანებებით დაჭრილი გურ-ჯაანის "ჯეო ჰოსპიტალსის" კლინიკაში მოათავ-სეს და შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტა-

დაჭრა, სავარაუდოდ, წარსულში მომხდარ კონფლიქტს უკავშირდება. ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

#### 939743 WAURW3999 **ᲐᲠᲐᲦᲔᲙᲚᲐᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ** ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲔᲡ

საბაჟო გამშვებ პუნქტებზე "სარფი" და "ნინოწმინდა" ქვეყნის საზღვარზე არადეკლარირებული სიგარეტის კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის 2 ფაქტი აღიკვეთა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვისა და რისკის პროფილის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის თ.კ.-სა და საქართველოს მოქალაქის გ.ჯ.-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში, აქციზური მარკების გარეშე 3.360 ღერი არადეკლა-

რირებული სიგარეტი გამოავლინეს. უწყების ინფორმაციით, საქართველოს სა-ბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი და სანქციის სახით შეეფარდათ ფულადი ჯარიმა ათას-ათასი ლარის ოდენო-

#### "ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲡᲒᲠᲔᲡᲨᲘᲐ, ᲣᲪᲮᲝᲔᲑᲡ **ᲔᲛᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲤᲐᲠᲐᲕᲡ"** თბილისში ბაღში აღმზრდელმა ბავშვზე იძალადა

თბილისის 128-ე ბაღში აღმზრდელმა ბავშვზე ფიზიკურად იძალადა. აღმზრდელი სამსახურიდან გაათავისუფლეს. საქმეზე დაწყებულია ძი-

ბავშვის დედა ტვ პირველთან ამბობს, რომ მის შვილს დაზიანებები სახეზე ალენიშნება.

როგორც ირკვევა, მცირეწლოვანს შიო-და და აღმზრდელს საკვები მოსთხოვა, რის გამოც მასწავლებელმა 3 წლის ბავშვს სახეში

— ადგილი ჰქონდა ფიზიკური ძალადობას, შენჯორევასა და ხელის დარტყმას. ბავშვმა წვნიანი სთხოვა, რადგან თავისით ვერ ახერხებს ჭამას. აღმზრდელს ბავშვი საძინებელში ძალით შეჰყავს. იქიდან გამოსული ბავშვი მასწავლებელს სთხოვს დაუჯდეს და აჭამოს, რადგან მშიერია. ამის შემდეგ ის ჩემს შვილს სცემს. ბავშვი სტრესშია, უცხოებს ემალება და სახეს იფარავს, – განაცხადა ბავშვის დედამ.

#### **3**3333000 033300 ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲛᲐᲘᲐ ᲝᲨᲮᲐᲠᲔᲚᲘ ᲙᲝᲕᲘᲦ 19-ᲘᲗ გაოღაიცვალა

მოსამართლე მაია ოშხარელი კორონავირუსის დიაგნოზით გარდაიცვალა.

ბოლოს ის მცხეთის რაიონული სასამარ-

თლოს მოსამართლე იყო და წინასასამართლო სხდომას უძღვებოდა გიორგი შაქარაშვილის საქ-

ოშხარელი ბოკერიას სახელობის კლინიკაში გადიოდა მკურნალობას, თუმცა მისი მდგომარეობა ბოლო დღეებში საგრძნობლად დამძიმდა

ამავე ინფექციას რამდენიმე დღის წინ მისი 63 წლის ქმარი, ბადრი გოგლიძე, ემსხვერპლა. მაია ოშხარელი 58 წლის იყო.

#### **ՑᲣᲠᲘᲐᲨᲘ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐ**ᲖᲕᲘᲠᲗᲝᲛ **42 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲘᲒᲐᲜᲐ**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში, სადაც იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით ციხის მშენებლობა მიმდინარეობს, 42 წლის მამაკაცი გარდაიცვალა.

პირველების ინფორმაციით, მამაკაცს სამშენებლო მოედანზე სატვირთო ავტომობილი დაეჯახა. დაშავებული მუშა ადგილზევე გარდაიცვა-

ლაითურში ციხის მშენებლობას კომპანია "ანაგი" აწარმოებს. "ანაგის" პროექტების მენეჯე-რი ტვ პირველთან ამბობს, რომ ტრაგედიის დეტალებზე გამოძიების დასრულებამდე ვერ ისაუბ-

– მოხდა უბედური შემთხვევა და დეტალებს გამოძიება დაადგენს. მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება საუბარი, – აღნიშნა "ანაგის" მენეჯერმა კახა გოგავამ.

\_-კახა გოგავას თქმით, ავტომობილი, რომელიც მუშას სამუშაოს შესრულების დროს დაეჯახა, კომპანიას ეკუთვნოდა და არა იუსტიციის სამინისტროს, რომლის თანამშრომლებიც ციხეს იცავენ.

## 6NJ) ᲛᲔᲚᲘᲐ: "ᲛᲖᲐᲦ ᲕᲐᲠ, ᲓᲐᲕᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ"

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის სასამართლო 29 აპრილს გაიმართება

29 აპრილს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიას სასამართლო პროცესი

გუშინ, **26** აპრილს, დილით, "ინტერპრეს-ნიუსს" მელიას ათვიააგმა მელიას ადვოკატმა გიორგი კონდახიშვილმა განუცხადა, რომ ხელისუფლებას აქვს შანსი, ნიკა მელია ციხიდან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე გამოუშვას.

აღვოკატმა მელია გუშინ რუსთავის პენი-ტენციარულ დაწესებულებაში მოინახულა. რო-გორც საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ კონ-დახიშვილმა აღნიშნა, ნიკა მელია იმედოვნებს, რომ შეთანხმების ხელმომწერი ოპოზიციური პარტიები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ამნისტიის კანონში მოძალადე პირები არ აღმოჩ-

– ნიკას პოზიცია არ შეცვლილა, განსაკუთრებით, ამნისტიის კანონპროექტთან დაკავშირებით. ის წუხს ოპოზიციური პარტიების ნაცვლად, ვინაიდან მოლოდინი აქვს, რომ "ოცნება იმდაგვარ კანონპროექტს დააინიცირებს, რომელზე დათანხმებაც ელემენტარულად შეუძლებელი იქნება, მაგრამ იმედოვნებს, რომ ხელშეკრულების ხელმომწერი ოპოზიციური პარტიები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ამნისტიის კანონში მოძალადე პირები არ აღმოჩნდნენ და ინდულგენცია არ მიიღონ. ეს არის მისი დღევანდელი პოზიცია.

29 აპრილს გვაქვს სასამართლო პროცესი, სადაც, ფაქტია, რომ ხელისუფლებას მელიას ყოველგვარი პრობლემის გარეშე ციხიდან გამოშვების გასაღები და ინსტრუმენტი აქვს. ნიკა მელიას საქმე პოლიტიკური აქტის მატარებელია, რაზეც თვითონ ხელისუფლება და ევროკავშირი აწერს ხელს. ამ ფონზე წარმოუდგენელია, ნიკა მელიას ციხეში, უკანონო პოლიტიკურ პატიმრო-



ბაში დატოვება. შესაძლებელია, თავდებობის საკითხი დადგეს, რაც ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი, 29 აპრილს შეიძლება ბევრი საინტერესო მოვლენა მოხდეს სასამართლო პროცესზე. რაც შეეხება ჩვენს ტაქტიკას, მას შემდეგ გადავწყვეტთ, რაც ევროპარლამენტარების თავდებობიდან გამომდინარე მოცემულობა გვექნება, განაცხადა კონდახიშვილმა.

გუშინვე, დღის მეორე ნახევარში, ნიკა მელიამ ახალი განცხადება გააკეთა. "რუსთავის ციხის 224-ე საკნიდან მინდა,

უმორჩილესად გთხოვოთ, არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ მონაწილეობა ისტორიის გადაწერის სამარცხვინო მცდელობაში, რასაც 20 ივნი-სის გავრილოვის ღამის ამნისტია ჰქვია.

არც მე და არც არავინ არ ღირს იმად, რომ ანტისაოკუპაციო აქციის სამარცხვინოდ დამრბევ დამნაშავე პოლიციელებსა და ბრძანების გამცემებს მინიმალური შანსი მაინც მივცეთ, თავი დააღწიონ სამართლიან მართლმსაჯულე-

სრულიად ცხადია, რომ "ქართული ოცნება" ამ ამნისტიას გაავრცელებს ყველაზე და ყველაფერზე და თქვენ რომც არ მისცეთ მას ხმა (რაშიც ეჭვი არ მეპარება), მაინც დისკრედიტებული გამოხვალთ ამ პროცესიდან. დაგაზიანებენ თქვენ, დააზიანებენ ოპოზიციურ ერთობას და დააზიანებენ ქვეყანას. სამწუხაროდ, ქართველი ხალხის თვალში მნიშვნელოვნად დააზიანებენ მედიატორებისა და მათ უკან მდგომი ჩვენი მთავარი მეგობრების რეპუტაციას.

კვლავ გავიმეორებ, ახლა თუ რამეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს ოპოზიციური ერთო-ბაა. არცერთ ვითარებაში არ უნდა დავუშვათ მისი რღვევა. არ უნდა დავუშვათ ყველა მხარემ. ამიტომაც, ყველას მინდა ვთხოვო, თავი შევიკავოთ იმგვა-რი ქმედებებისგან, რომლებიც ამ ერთობას შეუქცევად დაზიანებას მიაყენებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთობა არის ჩვენი ერთადერთი უპირატესო-ბა "ქართული ოცნების" წინააღმდეგ.

ამიტომაც გთხოვთ თქვენ და მივმართავ დოკუმენტზე ხელმომწერ "ქართულ ოცნებას":

გაითხოვეთ ამნისტიის საკითხი და მოხსენით იგი დღის წესრიგიდან ერთხელ და სამუდამოდ. თუ შეუძლებელია, ამნისტია შეეხოს მხო-ლოდ ე.წ. გავრილოვის პროტესტანტებს, მაშინ ნუ იარსებებს ამნისტია საერთოდ. გაითხოვეთ ამნისტია და ამ შემთხვევაში შე, ნიკა მელია, ვილებ სრულ პასუხისმგებლობას, დავთანხმდე ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ გირაოს და ამ პირობით დავტოვო საპყრობილე", – დაწერა ნიკა მელიამ ფეისბუქში.

ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 17 თებერვალს შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა 13

#### ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡᲐᲦᲛᲘ ᲓᲐᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ **ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲙᲐᲪ**ᲠᲓᲔᲑᲐ

წვრილმანი ხულიგნობის ჩადენაზე, ასევე, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასა ან ამ პირის შეურაცხყოფაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, შესაძლოა, გამკაცრდეს.

"ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატანი ცვლილებების პროექტი

უმრავლესობის დეპუტატებმა მოამზადეს. პროექტით, წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ამავე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სა-მართალდამრღვევის დაჯარიმებას 1.500 ლარიდან 2.000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღიდან 15 დღემდე ვადით.

გარდა ამისა, ახალი რედაქციით ყალიბდება "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 173-ე მუხლი, რომლითაც განისაზღვრება, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თა-ნამშრომლის და სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ერთხელ დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა, მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების ერთხელ ჩადენა გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 2.000 ლარიდან 3.000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო ამავე ქმედების განმეორებით ჩადენა – სამართალდამ რღვევის დაჯარიმებას 3.500 ლარიდან 4.500 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 10 დღიდან 15 დღემდე ვადით.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, სტატისტიკური მონაცემებიდან ნათელია, რომ "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 166-ე და 173-ე მუხ-ლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისთვის ამჟამად მოქმედი სახდელის ზომა ვერ უზრუნველყოფს ამ სამართალდარღვევათა ჩადენის პრევენციას. აღნიშნული სამართალდარღვევები ხელყოფენ საზოგადოებრივ წესრიგსა და მმართველობის წესს. "მზარდია აღნიშნული მუხლებით გათვა-

ლისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევები. კერძოდ, 2018 წელს 166-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის 4.452 შემთხვევა გამოვლინდა, 2019 წელს კი – 5.175. რაც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვე-ვას, 2018 წელს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 4.761 შემთხვე-ვა გამოვლინდა, ხოლო 2019 წელს – 5.801. 166ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმი-ნისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2020 წელსაც. კერძოდ, 2020 წელს 166-ე მუხლით გათ-

ვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის ჩადენის 3.452 შემთხვევა იქნა გამოვლენილი; 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კი – 4.201", – ნათქვამია პროექტის განმარტებით

#### ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲝᲛ ᲙᲝᲕᲘᲦ-19-ᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲦᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲦᲘ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ 1.116 ᲤᲐᲥᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.116 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად, 107 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 880



ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 129 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შე-

პირბადის ტარების წესის დარღვევა ინ-

ვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგეპლობას ითვალისწი-

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგა-დოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

#### **ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲡᲐᲚᲝᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲓᲘᲠᲡᲘᲡ** ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲗᲐᲜ, ᲥᲐᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ

გუშინ, **26** აპრილს, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, პოლიცია იყო მობილიზებული. "დირსის" მრავალსართულიან შენობასთან ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილი იპოვეს.

#### ᲖᲣᲒᲦᲘᲦᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲦᲐᲜ ᲜᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲠᲕᲔᲣᲚᲘ ᲦᲐ **Ს**ᲐᲝᲯᲐᲩ**Ს ୧**Ა**Ჩ**ᲡᲜᲘ Მ**Ს**ᲡᲕᲐᲠᲔᲡ

ზუგდიდში, ბერიას ქუჩაზე მდებარე მაღაზიიდან ნისიების რვეული მოიპარეს. მაღაზიის მფლობელის თქმით, წაიღეს ერთი ცალი საოჯახო ნაყინიც.

#### ᲖᲣᲒᲦᲘᲦᲨᲘ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲪᲔᲛᲐ

ზუგდიდში მამაზე ძალადობის ბრალდებით ქალი დააკავეს. შემთხვევა 25 აპრილს, ღამით მოხდა. გამ ოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

#### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲖᲔ, ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ **ᲡᲔᲪᲮᲚᲘ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐ**

გუშინ, 26 აპრილს, თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, მანქანას ცეცხლი გაუჩნდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე სამაშველო სამსახური იყო მობილიზებული.

#### **ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲞᲝᲡ**ᲒᲖᲔ ᲘᲡᲔᲕ **ᲤᲐᲨᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲐᲦᲒᲘᲜᲔᲡ**

სომხეთის მმართველმა ბლოკმა "ჩემი ნაბიჯი" ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ნიკოლ ფაშინიანის კანდიდა-

ტურა ოფიციალურად წარადგინა.



. ნიკოლ ფაშინი-ง6อง 3ตั้วอีกวู้ต-อีก6กปგრის თანამდებობა 25 აპრილს დატოვა, რის მიზეზადაც ქვეყანაში 20 ივნისს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები დაასახელა და აღნიშნა, რომ ამ დროის განმავლობაში პრემიერ-მინისტრის მოვალე-

ობის შესრულებას გააგრძელებს.

ვადამდელი არჩევნების ჩატარება მოითხოვს პარლამენტის დაშლას, რაც, თავის მხრივ, შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ორგანო ორჯერ ვერ აირჩევს პრემიერ-მინისტრს. ფაშინიანმა თანამდებობიდან გადადგომის დროს განმარტა, რომ მისი ბლოკი ოფიციალურად წარადგენს და შემდეგ, ორი კენჭისყრის დროს არ აირჩევს მას, რათა საკანონმდებლო ორგანოს დაშლისთვის საჭირო ტექნიკური მოთხოვნები შენარჩუნდეს.

პარლამენტის სპიკერმა არარატ მირზოიანმა 26 აპრილს განაცხადა, რომ პარლამენტი 3 მაისს საგანგებო სხდომას მოიწვევს და კენჭისყრის პირველ რაუნდს გამართავს

#### **ᲒᲐᲘᲦᲔᲜᲘ-ᲞᲣᲒᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲒᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ** യുമാരാന്

რუსეთისა და აშშის პრეზიდენტებს ვლადიმერ პუტინსა და ჯო ბაიდენს შორის სამიტი ზაფხულშია დაგეგმილი, მაგრამ ზუსტი თარიღი და ადგილმდებარეობა ჯერ კიდევ შესათანხმებელია. – გაჟღერდა გარკვეული წინადადებები. ჯერჯერობით თარიღს ვერ დავადასტურებ. თარიღზე ჯერჯერობით არანაირი შეთანხმება არ ყოფილა. ჩვენ ნამდვი-



ლად ვსაუბრობთ ზაფხულის თვეებზე, მრავალი ფაქტორი ჯერ კიდევ გასაანალიზებელია, რომ საბოლოო შეთანხმებას მივაღნიოთ, – აღნიშნა პესკოვმა.

მისი თქმით, ჯერჯერობით არც კონკრეტული ქვეყანა დასახელებულა.

ჯო ბაიდენსა და ვლადიმერ პუტინს შორის 13 აპრილს სატელეფონო საუბარი გაიმარ-თა. თეთრი სახლის ინფორმაციით, ჯო ბაიდენმა ვლადიმერ პუტინს უახლოეს თვეებში მესამე ქვეყანაში რუსეთ-ამერიკის სამიტის გამართვა შესთავაზა.

#### **134MJJ33NAN** "ᲐᲡᲒᲠᲐᲖᲔᲜᲔᲙᲐᲡ" ᲣᲩᲘᲕᲘᲡ

ევროკომისიის განცხადებით, ვაქცინის მიწოდებასთან დაკავშირებული კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო ფარმაცევტულ კომპა-ნია "ასტრაზენეკას" სასამართლოში უჩივიან.

კომისიაშ გასულ პარასკევს "ასტრაზენეკას" წინააღმდეგ სამართლებრივი ქმედება დაიწყო, – განაცხადა ევროკომისიის პრესსპიკერმა გუშინ, 26 აპრილს, გამართულ პრესკონფერენ-

მისივე თქმით, ამ ნაბიჯს მხარი ევროკავშირის 27-ვე ქვეყანამ დაუჭირა.

– კონტრაქტის ზოგიერთი პირობა არ არის დაცული და კომპანიამ ვერ შეძლო დოზების დროული მიწოდების უზრუნველსაყოფად სან-დო სტრატეგიის წარმოდგენა, – აღნიშნა პრეს-



სპიკერმა.

"ასტრაზენეკამ" კი განაცხადა, რომ კომპანიის წინააღმდეგ სასამართლო პროცესს არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

"ასტრაზენეკამ" სრულად შეასრულა წინასწარი შესყიდვის შეთანხმება ევროკომისიასთან და მტკიცედ დაიცავს თავს სასამართლოში, – აცხადებენ კომპანიაში.

აპრილის ბოლომდე კომპანია ევროპის ქვეყნებს ვაქცინის 50 მილიონ დოზას მიაწვდის.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

#### პატიმრებმა მანქანაში ჩაკეტილი ბავშვი გადაარჩინეს

ამერიკის ფლორიდის შტატში პატიმრებმა ჩაკეტილი ავტომობილის გახსნის ცოდნით ისარგებლეს და ბავშვი გადაარჩინეს. ამის ამსახველი ვიდეო

ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.
პატიმრების ჯგუფი გზის შეკეთების სამუშაოებით იყო დაკავებული ქალაქ ტამპას მიდამოებში, როდესაც მამაკაცს შემთხვევით თავისი ერთი წლის გოგონა მანქანაში ჩაეკეტა. გასაღებებიც ჩაკეტილ ავტომობილში აღმოჩნდა და ამიტომ მის გაღებას ვეღარ ახერხებდა. ჩაკეტილი ავტომობილის გარშემო


სეირის მაყურებლებმა მოიყარეს თავი. ამან კი შერიფის თანაშემწის ყურადღება მიიქცია, რომელიც პატიმრებს ზედამხედველობას უწევდა.

ბავშვის დედის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ ხსნიან ავტომობილის საკეტს ციხის უნიფორმაში გამოწყობილი ადამიანები, რათა ბავშვი გაათავისუფლონ. მათ ამისთვის რამდენიმე წუთი დასჭირდათ და გოგონა მშობლების მკლავებში აღმოჩნდა. ამ ინციდენტის შედეგად ბავშვი არ დაშავებულა.

#### მანქანას ციდან ჩამოვარდნილი თევზი დაეცა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ შარლოტში ციდან მოზრდილი თევზი ჩამოვარდა და გზაზე მიმავალ სატვირთო ავტომობილს დაეცა. აღნიშნული ინციდენტი იმ დროს მოხდა, რო-

დესაც სატვირთო მანქანა ხიდზე საათში 101 კილომეტრი სიჩქარით გადაადგილდებოდა. ვიდეორეგისტრატორის ჩანაწერის მიხედვით, თევზი ფრინველს მიჰქონდა, რომელმაც მისი კლანჭებში შემაგრება ვეღარ შეძლო, მანქანის თავზე მყოფს გაუვარდა, თავად კი ფრენა გააგრძელა. სატრანსპორტო კომპანიამ ვიდეოს ფრაგმენტი ტვიტერში კომენტარით გამოაქვეყნა, რომელშიც წერია:



#### ნიანგმა გოლფისტების თვალნინ ქორჭილა დაგლიჯა


მოზრდილმა ნიანგმა ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ პორტ-დუგლასში გოლფის მოთამაშეთა თვალწინ დაიჭირა და დაგლიჯა ბარამუნდი, რომელიც ასევე ზღვის თეთრი ქორჭილას სახელითაცაა ცნობილი. ადგილობრივი პიზნესის მხარდასაჭერი ორდღიანი ღონისძიების ფარგლებში 12 ორგანიზაცია მონაწილეობდა გოლფის თამაშში ქალაქგარეთ მდებარე გოლფის კლუბში. თამაშის მონაწილეები მორიგი დარტყმის შესრულებას ადევნებდნენ თვალს, როდესაც ორმეტრიანი რეპტილია შენიშნეს. გოლფის მოთამაშეთა თვალწინ ნიანგმა ბარამუნდი დაგლიჯა. თვითმხილველთა თქმით, თევზი თითქოსდა რეპტილიის ყბებში "აფეთქდა". — ეს წარმოუდგენელი სანახაობა იყო, — აღნიშნა გოლფისტმა ენდრიუ

რივზმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

#### \_ᲡᲞᲝᲠᲒᲘ-

#### **ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ ᲛᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ**ᲢᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲙᲝᲜᲒᲐᲥᲒᲘᲗ ᲔᲪᲓᲔᲑᲐ



პანდემიის პირობებში ბარსელონას საშუალება არ აქვს, 33 წლის ფეხბურთელს ამჟამინდელი ხელფასი გადაუხადოს, რაც წელიწადში დაახლოებით 75 მილიონი ევროა, თუმცა მის "დაბმას" ხან-გრძლივი კონტრაქტით ცდილობს, მაგრამ – ხელფასის შემცირებით.

პლუს, არგენტინელ ფეხბურთელს წარმატების გარანტია რომ მისცეს, ლაპორტა ვარსკვლავური ფეხბურთელების შეძენასაც აპირებს. ასეთი ფეხბურ-

თელები არიან ერლინგ ჰალანდი ან ნეიმარი.
გეტყვით, რომ მესი პირველ ადგილზეა 2020 წლის ყველაზე შემოსავლიან ფეხბურთელებს შორის. არგენტინელმა 125 მილიონი ევრო გამოიმუშავა. ამ თანხაში შესულია ხელფასი, ბონუსები და სარეკლამო კონტრაქტები.

მეორე ადგილზეა ტურინის იუვენტუსის შემტევი კრიშტიანუ რონალდუ, რომელმაც გასულ წელს 118 მილიონი ევროთი შეავსო საკუთარი ხაზინა. მესამეზე პარი სენ-ჟერმენის ფორვარდი ნეიმარია, რომელმაც 98 მილიონი მიიღო.

#### ᲨᲘᲠᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲠᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ინგლისური პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ დიდების დარბაზის დაარსება დააანონსა. ეს სპორტსმენისთვის ერთერთი ყველაზე პრესტიჟული და მნიშვნეა, რადგან პრ ერლიგა 1992 წელს ჩამოყალიბდა, დიდების დარბაზის წევრები მხოლოდ ბოლო 30 წლის მონაცემებით შეირჩევიან, მისი პირველი წევრები კი ალან შირერი და ტიერი ანრი გახდებიან. 2021 წლის ბოლომდე



დიდების დარბაზის წევრი კიდევ 6 ფეხ-ბურთელი იქნება და მათ შერჩევაში ქომაგები მიიღებენ მონაწილეობას. შირერს საუთჰემპტონში, ბლექბერნსა და ნიუკასლში 14 წელიწადში გამართულ 441 შეხვედრაში 260 გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით ლიგის ისტორიაში საუკეთესოა. 1994-95 წლების სეზონში ბლექბერნთან ერთად ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

ალან შირერი:

– როდესაც უყურებ, პრემიერლიგაში რამდენ დიდ და გასაოცარ ფეხბურთელს უთამაშია და შენ მათზე წინ გაყენებენ, დიდი პატივია, ამასთან – ცოტათი

ანრიშ არსენ ვენგერის არსენალში 175 გოლის გასატანად 258 მატჩი იკმარა და დღემდე კლუბის საუკეთესო გოლეადორად რჩება. მისმა გოლებმა "მეთოფეებს" 2-ჯერ მოუტანა ჩემპიონის ტიტული, მათ შორის 2004 წელს, როცა ლონდონელთა ლეგენდარულმა გუნდმა მთელი სეზონი დაუმარცხებლად განვლო.

ტიერი ანრი: – დიდების დარბაზში მოხვედრა დიდი პატივია და ამით ბედნიერი ვარ. საამისოდ მხოლოდ 2 წყვილი ბუცია საჭირო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

#### ᲜᲣᲪᲐ ᲑᲣᲖᲐᲚᲐᲫᲔ ᲐᲚᲒᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ **ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ**ᲒᲘᲐ



მომღერალი ნუცა ბუზალაძე ალბანეთის საერთაშორისო ფესტივალის ფინალისტია. მან მსმენელს მიშო სულუხიას სიმღერა შეუსრულა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ფესტივალის ფინალი ალბანეთში მაისში გაიმართება. რაც შეეხება ნუცას მონაწილეობას რუსულ შოუში "ა ნუკა ვსე ვმესტე", პირველ ტურში 100-დან 100 ქულა მიიღო და უმაღლესი შეფასებით ფინალში მოხვდა. ფინალში ქართველმა მომღერალმა ფრედი მერკურის ერთ-ერთი ჰიტი შეასრულა

და 86 ქულით შოუს გამოეთიშა. ნუცამ ამ შოუში მონაწილეობა მეორედ მიიღო და თავისი გამბედაობით შოუს 100-კაციანი ჟიურის მოწონება

#### **ᲯᲔᲛᲐᲚ ᲦᲐᲦᲐᲜᲘᲫᲔ 88 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ**

რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი ჯემალ ღაღანიძე 88 წლის გახდა. დაბადების დღე მსახიობს პანდემიის გამო მხოლოდ ოჯახის წევრებმა მიულოცეს.

თავად იუბილარი განვლილი ცხოვრებით კმაყოფილია და ამბობს, რომ იღბლიანი ადამიანია

– ცხოვრება მიდის შეუჩერებლად... ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვნახე, ბევრ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა, ბევრი სპექტაკლი ვითამაშე, არაერთი ჯილდო დავიმსახურე, თუმცა ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო ჩემი მაყურებლის სიყვარუ-ლია. ჩვენ, მსახიობები, სწორედ ამით ვარსებობთ. დიდი მსახიობი ხარ თუ პატარა, ქუჩაში რომ გცნობენ და სიყვარულს გამოხატავენ, ეს უკვე ყველაფერია. რადგან ვამბობ, რომ ჩემი ცხოვრება

კარგად წავიდა თეატრსა და შემოქმედებაში, გასახსენებელიც ბევრი მაქვს. თუნდაც

ის ფაქტი, რომ მიშა თუმანიშვილმა მე და ზინა კვერენჩხილაძეს შემოგვთავაზა რუსთაველის თეატრში ჩასვლა და მიგვილო. თითქმის მიშას მიღებული ვართ. მიშას სპექტაკლებში ვმონაწილეობდით და მერე უკვე რობერტ სტურუას ეპოქა დაიწყო, რომელიც მოვიდა თეატრში და ახალი რეფორმა და ახალი სიო შემოიტანა. მოხდა ისე, რომ რობიკოს თითქმის ყველა სპექტაკლში ვიყავი დაკავებული. ასე ამეწყო ცხოვრება და ეს ყოველთვის მახსოვს.

#### **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲛᲝᲕᲘᲗᲮᲝᲕ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲐᲡ** ᲘᲛ ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲐᲠ **Ი**ᲪᲘᲐᲜ"



აცხადებს სიმღერების ავტორი, მომღერა-ლი და მსახიობი მიხეილ ზაქარიაშვილი:

– სასწრაფოდ მოვითხოვ მოქალაქეობის ჩამორთმევას იმ არაქართული პირებისთვის, რომლებმაც არ იციან ქართული ენა და მოკლე ისტორია, ვინც არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუნდაც აქ დაბადებულ-გაზრდილი იყოს საუკუნეების მანძილზე!

როცა საქართველოში ცხოვრობ, აქ დაიბადე და არ იცი ქართული ენა, ეს იმას ნიშნავს, რომ პატივს არ სცემ ამ ქვეყანას, აქ მცხოვრებ აბორიგენ ერს და არ აღიარებ მის ტერიტორიულ მთლიანობას!

ასევე ბიზნესის გაკეთება თუ უნდათ უცხოელებს, აუცილებლად ქართველი უნდა ჰყავდეთ წილში ისე, როგორც ეს ხდება დუბაიში და

უმუშევრობაც დამთავრდება ბევრისთვის!
სასწრაფოდ ჩააყენონ საზღვრებთან მესაზღვრეთა და სამხედროთა გაძლიერებული შემადგენლობა, რათა დაცულ იქნეს სათანადოდ ჩვენი საზღვრები!

სასწრაფოდ დაიწყოს მოლაპარაკება მოსაზღვრე ქვეყნებთან, რათა დადგინდეს საქართველოს საზღვრები ბოლოს და ბოლოს.

#### ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲣᲑᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲒᲠᲘ ᲡᲞᲔᲥᲒᲐᲙᲚᲔᲑᲡ **ᲚᲘᲐ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ**

"სამეფო უბნის თეატრი გადის გარეთ" – ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც სამეფო უბნის თეატრი და თემურ ჩხეიძის სახელოსნო მაყურებელს სთავაზობს.

სახელოსნოს ექვსი დრამატურგი და ოთხი რეჟისორი ქალაქის სხვა-დასხვა კუთხეში შუშის ყუთიდან მაყურებელს თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ფრაგშენტებს უამბობენ.

– ივნისის ჩათვლით შუშის ყუთი იმოგზაურებს ქალაქში, მოულოდელად გაჩნდება თქვენს უბანში, იქ, სადაც არ ელოდებით. პიესები იწერება და იდგმება პროექტის მსვლელობისას. ამ ასი დღის განმავლობაში ვილაპარაკებთ ყველაფერზე, რაც ძა-ლიან ნაცნობი, მაგრამ ხშირად უთქმელია, – ამბობენ პროექტის ინიციატორები.

ექსპერიმენტის მიზანია, პანდემიის პირობებში მაყურებელთან დიალოგის აღდგენის გზები გამოინახოს და ცოცხალი თეატრალური წარ-

მოდგენა მათთან ახლოს უსაფრთხოდ მიიტანოს.

სპექტაკლები საჯარო სივრცეებში გათამაშდება და მათი ნახვა ნებისმიერ გამვლელს შეუძლია.

პროექტის ავტორები არიან დავით ხორბალაძე, თაკო შუკაკიძე, ვალერი ოთხოზორია, ანა სანაია, თემო რეხვიაშვილი და ალექსანდრე გოგოლაძე, რეჟისორები – ილია ქორქაშვილი, საბა ასლამაზიშვილი, დავით თურქიაშვილი, დავით ხორბალაძე და გეგა გაგნიძე, მხატვარი ქეთი ნადიბაიძეა, პროექტის კურატორები კი არიან დათა თავაძე და დავით გაბუნია.

სპექტაკლებში სამეფო უბნის თეატრის მსახიობები მონაწილე-

მოამზადა ეკა ირემაშვილმა



#### ᲨᲛᲐᲒᲘ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ევროპის ჩემპიონატი დაასრულეს. ჩვენმა ბერძენ-რომაელებმა პირველი ფინალური დღის მონაგარს – თითო ვერცხლ-ბრინჯაოს ორი მედალი შემატეს და უფრო ხარისხიანი – ოქრო და ბრინ-

ევროპის ჩემპიონი 72 კილოგრამამდე წონით კატე-ბოლქვაძე გახდა, ბრინჯაო კი 82-ში აივენგო რიკაძემ მოიპოვა

შეგახსენებთ, რომ მანამდე ევროპის ვიცეჩემპიონი იაკობ ქაჯაია (130) გახდა, ხოლო ლერი აბულაძე (63) მესამეზე გავიდა.

ბოლქვაძემ ფინალურ შეხვედ რაში 4:1 დაამარცხა სომეხი მალხაზ ამოიანი. ანგარიშის მიუხედავად, ევროპის ჩემპიონობა იოლი ნამდვილად



არ ყოფილა, მაგრამ სწორად შერჩეული ტაქტიკით ბოლქვაძე მშვიდად მივიდა გამარჯვებამდე.

ოქროსკენ მიმავალ გზას ქარ-თველი ფალავანი შვედ დანიელ მატიას სოინთან (4:0) მოგებით შეუყვა, შემდეგ რუსი ჩინგიზ ლაბაზანოვი (2:0) დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში უნგრელ რობერტ ატილა ფრიტს (3:1)

შმაგი ბოლქვაძე:

– მინდა, ყველას დიდი მადლობა გადავუხადო, ძალიან გახარებული ვარ! ყველაფერი გავიღე იმისათვის, რომ ევროპის ჩემპიონობა მომეპოვებინა და გამომივიდა კიდეც. პირველ რიგში, მადლობა სამწვრთნელო შტაბს, ვლადიმერ გეგეშიძეს, ბექა როყვასა და სხვებს, ასევე ჩვენს ექიმებს, ადამიანებს, რომლებმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს ჩემს წარმატება-

ბრინჯაოს მედლისთვის რიკაძემ ასევე სომეხი კარაპეტ ჩალიანი დაამარცხა. თავიდან სომეხი მოჭიდავე დაწინაურდა, მაგრამ რიკაძემ მალევე ორქულიანზე დააგდო, შემდეგ კი ჩალიანი პასიურობისთვის მესამე ქულითაც დასაჯეს. მეორე პერიოდში ერთი ქულა პასიურობისთვის ქართველმა დაკარგა, მაგრამ სულ ეს იყო – 3:2 რიკაძის სასარგებლოდ.

#### ᲛᲘᲥᲐᲣᲒᲐᲫᲔ ᲞᲠᲝᲥ ᲡᲘᲛᲣᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲦᲘᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

Meilleur buteur D1B Pro League

Georges Mikautadze

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 20 წლის გიორგი მიქაუტაძე, ბელგიის რანგით მე-2 დივიზიონის, იმავე პროქსიმუს ლიგის ბომბარდირი გახდა. სერენის ახალგაზრდა შემტევმა სეზონში 19 გოლის გატანა მოახერხა. ასეთივე შედეგი ჰქონდა სენტ ჟილუას ლიდერ დანტე ვანზეირს. თუმცა, ლი-

გის გადაწყვეტილებით, ქართველმა თავდამსხმელმა კონკურენტს დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

იქაუტაძემ მეტი გოლი გა-กลังถึง ไปลัუชีทั้ง อั ถึงตั้งชื่งშებ მატჩებში. ასევე გაითვალისწინეს ისიც, რომ ჩვენებურმა პენალტის ნიშნულიდან მხოლოდ 2 გოლი გაიტანა, როდესაც ვანზეირმა - 4.

გეტყვით იმასაც, რომ სერენმა მე-2 დივიზიონში 28 ტურში 52 ქულა მოაგროვა და მხოლოდ ხსენებულ სენტ ჟილუას ჩამორჩა. შედეგად, სერენმა ელიტაში გადასასვლელ ფლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. უკვე ცნობილია, რომ სერენის მეტოქე პირველ დივიზიონში ბოლოსწინა ადგილზე გასული ბევერენი იქნება. 1 მაისს პირველ მატჩში ქართველი ფორვარდის

გუნდი მასპინძელია, 8 მაისს კი სტუმრად ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ მიქაუტაძე ფრანგული მეცის კუთვნილებაა და სერენში იჯარის წესით იყო განათხოვრებული. ისიც გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონისთვის სა-ปรดัตวิฤตัตง ธรรุ้ศฤธิกง ფორვარდს სწორედ ფრანგები დაიბრუნებენ და მას, შესაძლოა, ლიგა 1-ში თამაშის საშუალება მიეცეს.

#### ႶმᲔᲠᲚᲔᲑᲛᲐ ᲚበᲦᲔᲠᲔᲑᲘ **ᲒᲐᲐᲛᲬᲐᲠᲔᲡ**

სამგუჩაღი-ჹინამო (თბ) 2:0 <u>ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. 26 ᲛᲐᲘᲡᲘ</u>

1:0 კუხიანიძე (44), 2:0 გუხაიძე (90) სამგურალი: ქვილითაია, რ.მჭედლიშვილი (ბანძელაძე 65), პატარკაციშვილი, ქურდაძე, კალანდრიშვილი, ბურჯანაძე, გილმორი, დოლიძე (დ.კირკიტაძე 65), ფონიავა (კიკაბიძე 83), ვერულიძე (ლექვთაძე 46), კუხიანიძე (ბუხაიძე 83)

დინამო: მიგინეიშვილი, მონხიი, პაპავა, კობოური, კუცია (კასტრო 82), მექვაბიშვილი, ლ.გაგნიძე (მორჩილაძე 66), ხარაბაძე, ქარდავა, მარუშიჩი, აბუაშვილი (ახვლედიანი 66)

**გაძევება:** ბუხაიძე (90) ეროვნული ლიგის მე-10 ტურის დასკვნით სათამაშო დღეს მოვლენები მოულოდნელად განვითარდა. გათამაშების ლიდერი დინამო თბილისი წყალტუბოს სამგურალს ესტუმრა და ორბურთიანი სხვაობით დამარცხდა. არადა, წყალტუბოელებს დინამოსთან აქამდე სულ ერთი მატჩი ჰქონდათ მოგებული და ისიც 1991 წელს.

მშვენივრად მოერგო იმერულ კლუბს ახალი მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძე. მისი ხელმძღვანელობით სამგურალმა მე-3 მატჩი ჩაატარა და ყველა მოიგო – ერთი თასზე, ორი ჩემპიონატში.

ფრუიძის გუნდმა სტუმრებს პირველი გოლი პირველი ტაიმის მიწურულს გაუტანა. დინამოს კარი სერგო კუხიანიძემ აიღო. იმავე კუხიანიძეს კიდევ სამჯერ შეეძლო ომარ მიგინე-กปัลการ เลือง เลือ ტემ დააღალატა.

მეორე ბურთი კი შეხვედრის ბოლოს შეცვლაზე შესულმა გიორგი

სელტა-ოსასუნა......2:1 ბილბაო-ატლეტიკო ...... 2:1

საჟუhნიhm ცხhიღი:

0:1 1:1 1:2 1:1

2:4

1:0 1:1 3:2

5:0

3:1

2:1

4:1

5.1

1:2

0:1

2:3

34 21 10 3 57-22 34 23 3 8 77-26

ბუხაიძემ გაიტანა და სამგურალს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გახარებულმა ბუხაიძემ გოლის გატანა მაისურის გახდით აღნიშნა, რის გამოც ყვითელი ბარათი მიიღო. ეს ბუხაიძისთვის მატჩში მეორე ყვითელი გამოდგა და მსაჯმა ავტომატურად მოედნიდან გააძევა.

ნაგების მიუხედავად, 10 ტურის შემდეგ დინამო თბილისი 22 ქულით ისევ პირველ პოზიციაზეა, წყალტუბოს სამგურალი კი 12 ქულით მე-7 ადგილზე იმყოფება.

#### ღინამო (ბთ)-ტოჩპეჹო 1:1 <u>ᲒᲝᲠᲘ. ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ</u>

დინამო: კუპატაძე, აზაროვი (თევდორაძე 79), აზაცკი, კობახიძე, ტეიდი, ჯიღაური (ზარია 74), მამუ-

ჩაშვილი, ალთუნაშვილი, გროცურეკი (ნავალოვსკი 74), შინდაგორიძე (მანჯგალაძე 57), ფანცულაია

ტორპედო: ჰამზიჩი, ვ.ტაბატაძე (რადჩენკო 67), მირცხულავა, ქაფიანი-ძე, ნადარაია, ჩაკვეტაძე, მამასახლისი, ძარია (გრიგალაშვილი 87), ბუკასი (შარვაშიძე 46), სალაკუ (ინკუმი 58), რეკიში (უგრეხელიძე 67)

თბილისის დინამოს მარცხით ვერ ისარგებლა ბათუმის დინამომ, რომელმაც ქულები ასევე იმერულ გუნდთან, ქუთაისის ტორპედოსთან დაკარგა. გია გეგუჩაძის გუნდი რიონისპირელებს კი უგებდა, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

ბათუმელებმა ანგარიში 39-ე წუთზე ბენჟამინ ტეიდის მიერ გატანილი ეფექტური გოლით გახსნეს. გარდა გატანილი გოლისა, ბათუმელებს ბევ-

რი სახიფათო მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი გოლად ვერ აქციეს და დაისაჯნენ.

მეორე ტაიმში ტორპედომ ლუკა ქაფიანიძის მიერ გატანილი ბურ-თით ანგარიში გაათანაბრა და მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა. თუმცა ტორპედო ჯერჯერობით ერთადერთი გუნდად რჩება, რომელსაც მიმდინარე სეზონში გამარჯვება არ მოუპო-

სატუ	h6nh	m	ცხ	hnGi	n:	
1.დინამო (თბ)	10	7	1	2	18-9	2
2.დინამო (ბთ)	10	5	4	1	12-6	1
3.დილა	10	5	3	2	12-7	1
4.საბურთალო	10	4	5	1	13-9	1
5.ლოკომოტივი	10	4	2	4	16-17	1
6.შუქურა 🧻	10	3	4	3	10-9	1
7.სამგურალი	10	3	3	4	9-11	1
8.სამტრედია	10	2	1	7	9-16	
9.ტორპედო	10	0	6	4	6-12	
10.თელავი	10	1	3	6	7-16	

#### უეფეგეგი

#### 25 s3hncn

	_		,	Ľ'''			روده			U			
	ფეც	<b>አ</b> ጣ-	ፈጠሶ	1			1.ატლეტიკო	33	22	7	4	60-22	7
				_			2.რეალი	33	21	8	4	56-24	7
ინგღის				ეჩღ			3.ბარსელონა	32	22	5	5	76-29	7
ვულვზი-ბარს	5 m c					0:4	4.სევილია	33	22	4	7	49-26	7
							5.სოსიედადი	32	13	11	8	50-34	5
ლიდსი-მანჩე							6.ბეტისი	33	14	8	11	42-45	5
ასტონ ვილა-	ვეს	გ გ	რო	მვიჩ	າດ	2:2		33	12	13	8	50-38	4
ິບລັບໆ							7.ვილიარეალი						
				huG			8.გრანადა	32	12	6	14	41-53	4
1.სიტი	33	24	5	4	69-24	77	9.ბილბაო	32	10	11	11	41-34	4
2.მანჩესტერი	33	19	10	4	64-35	67	10.სელტა	33	10	11	12	44-51	4
3.ლესტერი	32	18	5	9	58-37	59	11.ოსასუნა	33	10	10	13	31-39	4
4.ჩელსი	33	16	10	7	51-31	58	12.ლევანტე	33	9	11	13	38-46	3
5.ვესტ ჰემი	33	16	7	10	53-43	55	13.კადისი	33	9	10	14	28-49	3
6.ლივერპული	33	15	9	9	55-39	54	14.ვალენსია	33	8	12	13	41-48	3
7.ტოტენჰემი	33	15	8	10	56-38	53	15.ხეტაფე	33	8	10	15	26-39	3
8.ევერტონი	32	15	7	10	44-40	52	16.ალავესი	33	7	10	16	28-49	3
9.ლიდსი	33	14	5	14	50-50	47	17.ელჩე	33	6	12	15	29-49	3
10.არსენალი	33	13	7	13	44-37	46	18.ვალიადოლიდ		5	14	13	29-43	2
	32	13	6	13	46-37	45		33	5	12	16	31-50	2
11.ასტონვილა		11		14		41	19.უესკა	32	4	11	17		2
12.ვულვზი	33		8		32-45		20.ეიბარი					23-45	
13.კრ.პალასი	31	10	8	13	33-52	38	ესპანეთი.	სე	გუნ	62	60,	ვიზიონ	n
14.ბარნლი	33	9	9	15	30-45	36	ოვიედო-ხირ	ონა					.0:
15.საუთჰემპტონი		10	6	16	40-58	36							
16.ნიუკასლი	33	9	9	15	36-54	36	მირანდესი-ა						
17.ბრაიტონი	33	7	13	13	33-39	34	ალკორკონი-	ლეგ	კანვ	ესი			. 1::
18.ფულემი	33	5	12	16	25-43	27	ტენერიფე-კა	1.8.	mn	260			1.
19.ვესტ ბრომვიჩ	ი33	5	10	18	30-64	25							• • •
20.შეფილდი	33	5	2	26	18-56	17		Cus.					
ინგღის		00	გის	m	ასი		ბენევენტო-უ	დინ	1989	١			. 2:
11000.110		-	-	0.	3011		ინტერი-ვერი						
		ინა											
სიტი-ტოტენპ	ჰემი					. 1:0	ფიორენტინა	-იუ;	ვეხ	ტუს	o		Т:
ინგღის							კალიარი-რო	მა.					3:
							ატალანტა-ბი						
რედინგი-სუო	იხსი					2:2							J.
ბრისტოლი-ღ							სატუ	hGn	hm	ცხ	ხინ	n:	
გეĥმან							1.ინტერი	33	24	7	2	72-29	7
							2.ატალანტა	33	20	8	5	78-39	6
ლაიფციგი-შ	S on 1	გგაი	რტი	ი		. 2:0	3.მილანი	32	20	6	6	60-38	6
	900						4.იუვენტუსი	33	19	9	5	65-30	6
გლადგახი-არ		os.										71-37	6
გლადბახი-არ	1906				_		5 ნაპოლი	32	20		9		5
სატუ	იმინ <b>hნი</b>	hm	ცხ	ხიც			5.ნაპოლი 6 ლაკაით	32 31	20 18	3	9	5.3-45	5
სატუ  1.ბაიერნი	ამინ <b>hნn</b> <b>31</b>	hm 22	ცხ 5	hიc 4	86-40	71	6.ლაციო	31	18	3 4	9	53-46 58-51	
სატუ	იმინ <b>hნი</b> 31 31	hm 22 19	ცხ 5 7	ხიც	86-40 55-25	64	6.ლაციო 7.რომა	31 33	18 16	3 4 7	9 10	58-51	
სატუ  1.ბაიერნი	ამინ <b>hნn</b> <b>31</b>	hm 22	ცხ 5	hიc 4	86-40		6.ლაციო 7.რომა 8.სასუოლო	31 33 33	18 16 14	3 4 7 10	9 10 9	58-51 55-50	5
სატუ 1.ბაიერნი 2.ლაიფციგი 3.ვოლფსბურგი	იმინ <b>hნი</b> 31 31	hm 22 19	ცხ 5 7	hი <u>ი</u> 4 5	86-40 55-25	64	6.ლაციო 7.რომა 8.სასუოლო 9.სამპდორია	31 33 33 33	18 16 14 12	3 4 7 10 6	9 10 9 15	58-51 55-50 43-47	5 4
სატუს 1.ბაიერნი 2.ლაიფციგი 3.ვოლფსბურგი 4.აინტრახტი	იმინ <b>hნი</b> 31 31 31	hm 22 19 16	ცხ 5 7 9	հոը 4 5 6	86-40 55-25 54-32	64 57	6.ლაციო 7.რომა 8.სასუოლო 9.სამპდორია 10.ვერონა	31 33 33 33 33	18 16 14 12 11	3 4 7 10 6 8	9 10 9 15 14	58-51 55-50 43-47 40-41	5 4 4
სატუს 1.ბაიერნი 2.ლაიფციგი 3.ვოლფსბურგი 4.აინტრახტი 5.დორტმუნდი	იმინ <b>hნი</b> 31 31 31 31	hm 22 19 16 15	ცხ 5 7 9 11	hიღ 4 5 6	86-40 55-25 54-32 62-47	64 57 56	6.ლაციო 7.რომა 8.სასუოლო 9.სამპდორია 10.ვერონა 11.უდინეზე	31 33 33 33 33 33	18 16 14 12 11 10	3 4 7 10 6 8 9	9 10 9 15 14 14	58-51 55-50 43-47 40-41 38-44	5 4 4 3
სატე 1.ბაიერნი 2.ლაიფციგი 3.ვოლფსბურგი 4.აინტრახტი 5.დორტმუნდი 6.ლევერკუზენი	ჩნი 31 31 31 31 31 31	hm 22 19 16 15	ცხ 5 7 9 11 4	հոը 4 5 6 5	86-40 55-25 54-32 62-47 66-42	64 57 56 55	6.ლაციო 7. რომა 8.სასუოლო 9.სამპდორია 10.ვერონა 11.უდინეზე 12.ბოლონია	31 33 33 33 33 33 33	18 16 14 12 11 10 10	3 4 7 10 6 8 9 8	9 10 9 15 14 14 15	58-51 55-50 43-47 40-41 38-44 44-53	5 4 4 3 3
სატუ 1.ბაიერნი 2.ლაიფციგი 3.ვოლფსბურგი 4.აინტრახტი 5.დორტმუნდი 6.ლევერკუზენი 7.გლადბახი	რმინ <b>hნი</b> 31 31 31 31 31	hm 22 19 16 15 17	ცხ 5 7 9 11 4 8	hnc 4 5 6 5 10 9	86-40 55-25 54-32 62-47 66-42 51-35	64 57 56 55 50	6.ლაციო 7.რომა 8.სასუოლო 9.სამპდორია 10.ვერონა 11.უდინეზე 12.ბოლონია 13.ჯენოა	31 33 33 33 33 33 33 33	18 16 14 12 11 10 10 8	3 4 7 10 6 8 9 8	9 10 9 15 14 14 15 13	58-51 55-50 43-47 40-41 38-44 44-53 37-48	5 4 4 3 3 3
